ალია

N146/3076/ 3-6 ოქტომბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE

გამოდის 1995 წლიდან

## როგორ აპირებს ჯანდაცვა ძვირი წამლების გაიაფებას?

# ვინ უნდა დასაჯოს პრემიერმა

## და ვინ უნდა აგოს პასუხი ევროსაბჭოში მომხდარის გამო






## აშშ-ში „ქართული ოცნების“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ალაპარაკდა

## რა ჩვენება მისცა ტრისტან წითელაშვილმა შსს-ს უკრაინიდან ჩამოყვანილ „ზონდერებზე“?



## რეზო ამაშუკელი: „ამ ამბებს რომ დავახეთქებ, ოჯახებს ამოწყვეტენ, ისეთი რამეები ვიცი...“



## მცხეთის ყოფილი გამგებელი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ბრალდებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი, ვახტანგ ყიფშიძე დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ყიფშიძემ 2008 წლის მარტში, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, შექმნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თაღლითურად დაეუფლა ქ. მცხეთაში, ფიქრის გორაზე მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ, განსაკუთრებით დიდი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებებს, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება შეადგენს 2 494 660 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით, სასჯელის სახით 7-იდან 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

## ბრალდებული თურქეთის მოქალაქე მართლმადიდებლად მოინათლა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში ბრალდებული ელმაზორ კანი დეკანოზმა გაბრიელ პაიკიძემ მართლმადიდებლად მონათლა და ნათლობის სახელად თორნიკე უწოდა.

წარმოშობით ქართველი ელმაზორ კანი თურქეთის მოქალაქეა, გვარად ლორთქიფანიძე. რამდენიმე კვირის წინ მან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს განცხადებით მიმართა, სადაც საკუთარ წარმომავლობაზე მიუთითებდა და აღნიშნავდა, რომ სურდა დაბრუნებოდა მართლმადიდებლობას, რადგან მისმა წინაპრებმა 1780 წელს იძულებით მიიღეს ისლამი.

„ჩემი წინაპრები თურქეთში იძულებით გადაასახლეს და გაამუსლიმანეს. ისინი, ისევე როგორც ჩემი მშობლები, მუსლიმანები იყვნენ, მაგრამ გულში ქრისტიანებად რჩებოდნენ, თუმცა ამას ხმამაღლა ვერ ამბობდნენ. სულ მინდოდა მართლმადიდებლად მონათვლა. უფლის მადლით, გავქრისტიანდი და როცა გავთავისუფლდები, ეკლესიაში ჯვარს დავიწერ ჩემს მეუღლეზე, რომელიც შვილს ელოდება“, – განაცხადა ელმა ზორკანმა (თორნიკე ლორთქიფანიძემ).

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამმართველოს უფროსის ლეილა აფციაურის განცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის 157 პატიმარი გაქრისტიანდა.

„ის, რომ სხვადასხვა აღმსარებლობისა და ეროვნების მსჯავრდადებულები მართლმადიდებლებად ინათლებიან, საპატრიარქოსა და კათოლიკოს-პატრიარქის უდიდესი დამსახურებაა. რწმენა, ლოცვა და სინანული ადამიანებს ციხეში ყოფნას უადვილებს. მსჯავრდებულებსა და საპატრიარქოს შორის შუამავალი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამმართველოა. აღსანიშნავია, რომ პატიმართა არც ერთი თხოვნა არ რჩება საპატრიარქოს ყურადღების მიღმა“, – განაცხადა აფციაურმა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების ექვს მსჯავრდადებულს, რომელთაც შესაბამისი თხოვნით მიმართეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, საჩუქრად გადაეცა მისი უწმინდესობის მიერ ნაკურთხი ჯვრები, კელაპტრები და სახარება. (ნიუპოსტი)

## მაყურებლის გარდაცვალების გამო რუსთაველის თეატრში კონცერტი ჩაიშალა



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრის, დავით გოგიაშვილის („თავგასას“) ხსოვნის საღამო იმართებოდა. კონცერტის დაწყებიდან დაახლოებით ერთ საათში მომღერლის სიდედრი, რომელიც წინა რიგებში იჯდა, მოულოდნელად გარდაიცვალა. მომხდარის გამო კონცერტი ჩაიშალა. ოჯახის ახლობელთა თქმით, გარდაცვალების მიზეზი ძლიერი ემოცია იყო. (ნიუპოსტი)

## ავტომობილების ტექდათვალიერების დაკანონება ორი წლით გადაიდო



ავტომობილების ტექდათვალიერების დაკანონება ორი წლით გადაიდო. გადაწყვეტილება მთავრობის ეკონომიკურმა საბჭომ მიიღო. ტექდათვალიერების აღდგენა 2015 წლის 1-ლი მარტიდან იგეგმებოდა. ხელისუფლება ინიციატივას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ხსნიდა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გააკეთა: „იმ სტანდარტებზე ერთბაშად გადასვლა, რომელიც ევროპაშია, ალბათ, მტკივნეული იქნებოდა. ის, რომ გადაიდო ორი წლით, არ გულისხმობს, რომ სამუშაო არ დაიწყება ხვალიდანვე“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ფაქტი...



## საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ტრენინგი ჩაუტარდათ

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ახალი საპატრულო სპეცავტომობილ „**Ford Interceptor**“-ის შესწავლისა და ექსტრემალური მართვის დაუფლების ორდღიანი ტრენინგი გაიარეს.

თეორიული კურსი ამერიკის შეერთებული შტატებიდან სპეციალურად მოწვეულმა მაღალკვალიფიციურმა ტრენერმა უილიამ მაქქუსლანდმა, ხოლო პრაქტიკული სწავლება ასევე ამერიკელმა მაღალკვალიფიციურმა ტრენერმა გრეგ პარკეტმა ჩაატარა.

მართვის სწავლება მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: ექსტრემალური მართვა და მანევრი, საჭირო საბაზისო მართვის სწავლა და უნარ-ჩვევები.

ტრენინგები მომავალშიც გაგრძელდება და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ყველა პატრულ-ინსპექტორი დაეუფლება ახალი საპატრულო სპეცავტომობილის მართვას. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები ახალი სპეცავტომობილებით დედაქალაქის ქუჩებში პატრულირებას ნოემბრის ბოლოდან დაიწყებენ.

„**Ford Interceptori**“-ი მაღალი გამძლეობით, უსაფრთხოებისა და მოძრაობის გაძლიერებული მახასიათებლებით გამოირჩევა. იგი სპეციალურად აშშ-ს საპატრულო პოლიციისთვის არის შექმნილი. ახალი სპეცმანქანა აღჭურვილია სხვადასხვა დამატებითი უსაფრთხოების მოწყობილობითა და სისტემით, რომლებიც არ გაჩნია საქართველოში დღეს მოქმედ არც ერთ სპეცავტომობილს. აღსანიშნავია, რომ ამ ავტომანქანებს სამწლიანი საექსპლუატაციო ვადა აქვთ, რაც საპატრულო პოლიციის სარგებლობაში არსებული ავტომაქანების შენახვის ხარჯებს გაცილებით შეამცირებს.

აღნიშნული ავტომანქანის სალონის გამყოფი ტიხარი უზრუნველყოფს როგორც ეკიპაჟის, ასევე მგზავრების უსაფრთხოებას და იზოლაციას. ტიხარი დამზადებულია მაღალი გამძლეობის ფოლადისა და პოლიმერული მასალებისგან. სპეცავტომობილი კარებთან აღჭურვილია 2 დამატებითი ძლიერი ნათების მაშუქით, რომელიც ეკიპაჟს ეხმარება ღამის საათებში გაუნათებელი ადგილმდებარეობის შესწავლასა და შესაბამისი ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებაში. სპეცავტომობილი არის სრული ამძრაობის (4X4), რაც მანქანის მოძრაობის სტაბილურობასა და საიმედოობას უზრუნველყოფს ნებისმიერ კლიმატურ პირობებში. ავტომობილის უსაფრთხო მოძრაობას ასევე უზრუნველყოფს მაღალი გამძლეობის, სპეციალური მასალით დამზადებული საბურავები და ფოლადის დისკები. აღნიშნული ტიპის საბურავები არ იწარმოება სამოქალაქო სექტორისთვის და განკუთვნილია მხოლოდ სპეციალიზებული საპოლიციო მანქანებისთვის. (ნიუპოსტი)

## ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენეს




ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ხარჩილავა თანამდებობიდან გადააყენეს.

ხარჩილავას იმპიჩმენტის ინიციატივა „ქართული ოცნების“ წევრ ზურაბ ჩაჩუას ეკუთვნოდა, რომელმაც მიზეზად „სამუშაოს არაჯეროვნად შესრულება“ დაასახელა, ასევე ის „ახალი პოლიტიკური რეალობა“, რომელშიც, მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ მართავს ქვეყანას“.

თავად ოთარ ხარჩილავას განცხადებით კი, „ამ ყველაფერს პოლიტიკური სარჩული აქვს და ეს არ არის დემოკრატია“.

ცნობისთვის, ოთარ ხარჩილავა საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციაზე რამდენიმე თვის წინ დაინიშნა. (ფრონტნიუსი)



## ფოთის მერიიდან 150-მდე თანამშრომელი გაათავისუფლეს

ფოთის მერიიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე 150-მდე ადამიანი გაათავისუფლეს. ერთ-ერთი განთავისუფლებულის ცნობით, კანონით გათვალისწინებული ატესტაციები დეკემბრამდე გადადო, მათ კი სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე არანაირი არგუმენტი არ მოუსმენიათ.

ფოთის მერმა ირაკლი კაკულიამ განცხადების გაკეთება არ ისურვა. „ძალიან ცუდ დროს მირეკავთ, არ მცალია ახლა“. – განაცხადა კაკულიამ. (ფრონტნიუსი)

## „თბილისობა“ ოქტომბრის ბოლოს გაიმართება



ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა. როგორც დედაქალაქის მერმა აღნიშნა, დღესასწაულთან დაკავშირებით ღონისძიებები 25-26 ოქტომბერს გაიმართება.

აღნიშნულ საკითხზე ამ დროისთვის კომისია მუშაობს. შემაჯამებელი სხდომა 3 ოქტომბერს გაიმართება და დეტალებიც ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

„დაახლოებით ერთი თვის წინ ჩემი განკარგულებით შეიქმნა კომისია. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ძირითადი მონახაზები უკვე გაკეთებულია, პროგრამა მზად არის, ამ დროისთვის ცალკეული დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს“, – განაცხადა ნარმანიამ. (ფრონტნიუსი)

## მოსახლეობა საძოვრებზე გამავალი გზის დაბრუნებას ითხოვს




გორის რაიონის სოფელ ბროწლეთის მოსახლეობამ ტყვიავის პოლიციის განყოფილებასთან აქცია გამართა. ისინი სამი თანასოფლელის დაკითხვაზე დაბარებას აპროტესტებენ და ადგილობრივ ფერმერს უპირისპირდებიან.

სოფლის მაცხოვრებლების დაკითხვაზე დაბარების მიზეზი გოჩა ღვინიაშვილის კერძო ნაკვეთში მომხდარი ინციდენტი გახდა, რა დროსაც ადგილობრივებმა ღვინიაშვილს ფართობის შემოღობვის საშუალება არ მისცეს.

ბროწლეთის მოსახლეობა ამბობს რომ, ღვინიაშვილმა 12 ჰექტარი მიწის ფართობი იყიდა და შემოღობვის დროს ქარსაცავისა და სოფლის საძოვრებზე გამავალი გზა ჩაკეტა. აქციის მონაწილეები ქარსაცავი ზოლის გასხვისებას აპროტესტებენ და საძოვრებზე გამავალი გზის დაბრუნებას ითხოვენ. (ნიუპოსტი)

# ვინ უნდა დასაჯოს პრემიერმა

## და ვინ უნდა აგოს პასუხი ევროსაბჭოში მომხდარის გამო

ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება, ფაქტობრივად, „ნაციონალების“ დაანონსებული გეგმის მიხედვით მიდის. საინტერესოა, ვინ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რაც ევროსაბჭოში მოხდა? რატომ ვერ უზრუნველყვეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და უმრავლესობის დეპუტატებმა, რომ ევროსაბჭოს რეზოლუცია არ ყოფილიყო ასეთი მწვავე საქართველოს ხელისუფლების მიმართ? რატომ ვერ მოახერხეს, დაერწმუნებინათ ევროპელები ვანო მერაბიშვილის, ბაჩო ახალაიას, გიგი უგულავას, მიხეილ სააკაშვილის დანაშაულში?.. ვის უნდა მოსთხოვოს პრემიერმა პასუხი?.. ევროსაბჭოში „ქართული ოცნების“ დელეგაცია არაკვალიფიციურად გამოიყურებოდა. არაერთხელ გამოგვიქვეყნებია საფრანგეთში მოღვაწე ქართველ ჟურნალისტთან ინტერვიუ, გიორგი ფოფხაძე ამ ხელისუფლებას ჩასჩიჩინებდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ევროსტრუქტურებში ისეთი აქტიურია, როგორც არასდროს, ისინი კაბინეტ-კაბინეტ დარბიან, შეტყობინებას შეტყობინებაზე აგზავნიან და თითოეულ დეტალზეც კი საქმის კურსში აყენებენ ევროპელებს მაშინ, როცა „ოცნების“ დიპლომატია ნულს ქვემოთაა. მათ კატეგორიული უარი განაცხადეს ლობისტებზე, რომლებიც რეალურ ინფორმაციას მიაწვდიდნენ ევროსაბჭოს წარმომადგენლებს... ფოფხაძე იმასაც კი აცხადებდა, რომ ბრიუსელში ჩვენმა ელჩმა ევროსაბჭოს შენობის მისამართიც კი არ იცის, მაგრამ არც ერთხელ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყური არ შეიბერტყა, არადა საგარეო მარცხი ძალიან ბევრი დაგროვდა... მიუხედავად იმისა, რომ მიღებული არ არის საგარეო საქმეთა მინისტრის ხშირი ცვლა, ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როცა მაია ფანჯიკიძემ და მასთან დაახლოებულმა სტრუქტურებმა ან მუშაობის სტილი უნდა შეცვალონ, ან უნდა გადადგეს...

ყოფილი პარლამენტარი, იურისტი **ვალერი გელბახიანი** „ალიასთან“ ინტერვიუში აცხადებს:

– საქართველო 1998 წლიდან არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა. როცა ჩვენ შევუერთდით ამ ინტეგრაციას, ვალდებულებები ავიღეთ, რომ ყველა საერთაშორისო კონვენციას შევუერთდებოდით. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სამართლებრივი პროცესი ყოველთვის მონიტორინგის ქვეშ იყო, 1998 წლიდან მოყოლებული, წელი არ გასულა საქართველო არ მოხვედრილიყო მიმოხილვებში.

**— კონკრეტული რეკომენდაციები, როგორიც წელს მისცა ევროსაბჭომ საქართველოს ხელისუფლებას, ჩაწერილა თუ არა რეზოლუციაში სააკაშვილის რეჟიმის დროს?**

– სააკაშვილის დროს ვერ ვიხსენებ რეკომენდაციას, სადაც რომელიმე პატიმრის გვარ-სახელები იყო მოხსენიებული. პოლიტპატიმარი სულხან მოლაშვილიც კი არ მოუხსენიებიათ რეზოლუციაში. მახსოვს, ევროსაბჭოს რეზოლუცია იყო 8 აგვისტოს ომთან დაკავშირებით.

**რეზოლუციაში პირდაპირ წერია, რომ არ არის აუცილებელი საპატიმრო ღონისძიებების გატარება მათ მიმართ.**

– არშესრულების შემთხვევაში თუ ამას მოჰყვება პოლიტიკური სანქცია, ამას შეიძლება მოჰყვეს გარიცხვა ან უფლებამოსილების დროებით შეჩერება ევროსაბჭოში. მე ვფიქრობ, ვიდრე აქამდე მივა საქმე, ევროსაბჭოდან ჩამოვა მონიტორინგის ჯგუფი, ასეთი მონიტორინგის ჯგუფი ყოველთვის ჩამოდის და ისინი მოითხოვენ რეკომენდაციების შესრულებას.

**— და თუ არ გაათავისუფლეს საპატიმროდან ბაჩანა ახალაია, რომლის სახელი და გვარი პირდაპირ რეზოლუციაშია ჩაწერილი და ევროსაბჭო იძლევა მისი დაუყოვნებლივი განთავისუფლების რეკომენდაციას, რა პროცესები დაიწყება?**

– გავიხსენოთ უკრაინის მაგალითი, დაპატიმრებული პრემიერ-მინისტრი ტიმოშენკო და ევროსაბჭოს დამოკიდებულება. ტიმოშენკოზე ევროსაბჭომაც და ევროკავშირმაც რეზოლუცია ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნებამდე ევროსაბჭომ მიიღო რეზოლუცია, სადაც ჩაიწერა, რომ ადგილი ჰქონდა საერთაშორისო კონვენციების დარღვევას და იყო რეკომენდაცია, რომ ევროსასამართლოს განეხილა. რა თქმა უნდა, ამას გაგრძელება არ ჰქონია, თუმცა ევროსაბჭოს რეზოლუცია ამ საკითხზე არსებობდა.

**— რა ძალა აქვს ევროსაბჭოს რეზოლუციას?**

– ევროსაბჭოს რეზოლუციას აქვს რეკომენდაციული ხასიათი, თუ რეკომენდაციას არ გაითვალისწინებს შეიძლება ამას მოჰყვეს სანქცია, შეიძლება ეს იყოს ეკონომიკური, ან პოლიტიკური სანქციები. საქართველოს მიმართ მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა, როცა ევროსაბჭოს რეკომენდაციების არშესრულების შემთხვევაში მათ სანქცია დაეწესებინოთ...

**— თუკი არ გაითვალისწინებს საქართველოს ხელისუფლება ევროსაბჭოს რეკომენდაციას და არ გაათავისუფლებს ბაჩანა ახალაიას ციხიდან, რა სანქციას დაგვაკისრებენ? ევროსაბჭოს** მიიღო.

**— რატომ იხსენებთ ამ საბედისწერო ფაქტს, შეიძლება ბაჩანა ახალაია ტიმოშენკო გახდეს და ის პროცესები, რაც პეკინის №34-ში დაიწყო, დაპირისპირება „თავისუფალ ზონასა“ და „თავისუფალ თაობას“ შორის, შეიძლება „თბილისურ მაიდანში“ გადაიზარდოს?..**

– ტიმოშენკო შემთხვევით არ მიხსენებია, პირველი რიგში ნეგატიური ფაქტით ხდება უარყოფითი იმიჯის შექმნა ქვეყნის ხელისუფლების მიმართ. როცა იანუკოვიჩის გაშავება დაიწყო დასავლეთმა, მათ სჭირდებოდათ ისეთი ფაქტები, რაც საზოგადოებრივ აზრს განაწყობდა. უკრაინის ხელისუფლებამ თავად შექმნა ის ფაქტი, რომელიც მის წინააღმდეგ იმუშავებდა და ეს იყო ტიმოშენკოს დაპატიმრება. ტიმოშენკოს მიმართ არაერთი საერთაშორისო მხარდაჭერა განხორციელდა, მათ შორის იყო მიღებული რეზოლუციები, იანუკოვიჩს პირდაპირ უყენებდნენ პირობად დასავლელი პოლიტიკოსები, თუ ტიმოშენკოს გაათავისუფლებდა, მხოლოდ ამის შემდეგ დაელაპარაკებოდნენ. ტიმოშენკო იქცა საჯილდაო ქვად დასავლეთსა და იანუკოვიჩს შორის. უკრაინის ხელისუფლება გაჯიუტდა და უკვე ყველგან ცხადდებოდა, რომ უკრაინაში პოლიტიკური რეჟიმი ყალიბდებოდა იანუკოვიჩის სახით. დაახლოებით ოთხი თვე მოუნდა საერთაშორისო სამყარო უკრაინაში მაიდანის პროცესების წამოწყებას იმისთვის, რომ სახალხო მხარდაჭერა მიეღო. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით ვანო მერაბიშვილი იმხილება არაერთ სისხლის სამართლის დანაშაულში, საერთაშორისო საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება ნელ-ნელა საქართველოს საზოგადოებაშიც შექმნის განწყობას, რომ ეს პრეტენზიები გამოყენებულია ხელისუფლების წინააღმდეგ და ხელისუფლების შესაცვლელად. ამ შემთხვევაში საბაბად მიიჩნევენ მერაბიშვილისა და სხვების განთავისუფლებას. ამიტომ ჩვენმა ხელისუფლებამ ბევრი რამ უნდა იღოს ყურად. პრაქტიკა და გამოცდილება აჩვენებს, თუ არ ვითვალისწინებთ თუნდაც არასწორ რეკომენდაციას, მაშინ ურთიერთობები შეიცვლება საქართველოს ხელისუფლების მიმართ, ჩამოყალიბდება აზრი, რომ ამ ხელისუფლებასაც მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს, შეინარჩუნოს ძალაუფლება და ამიტომ დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც არც დემოკრატიის ღირებულებებს პასუხობს და ეს არის პოლიტიკური რეჟიმის სახე.

მე არ ვფიქრობ, რომ ეს დღეს და ხვალ მოხდება ევროპელების მხრიდან, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ყველა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საქართველოში ჩამოვა, პირველ მოთხოვნას დააყენებენ, რატომ არ არიან გამოშვებული ციხიდან, რეზოლუციაში მოხვედრილი ადამიანები. ყველა საერთაშორისო დონის შეხვედრაზე საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებთან საუბრისას, იქნება საკითხი ასე დაყენებული, მხოლოდ მას შემდეგ განვიხ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



### ფილმის პრემიერა, სადაც მთავარ როლს პირველი ლედი ასრულებს, 3 ოქტომბერს გაიმართება

3 ოქტომბერს, კინოთეატრ „ამირანში“ მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე საზოგადოება ქართველი რეჟისორის ლიკა ციხისელის ახალ ფილმს იხილავს – „გზა“, რომელშიც მთავარ როლს საქართველოს პრეზიდენტის მეუღლე მაკა ჩიჩუა ასრულებს.

ლიკა ციხისელი: „პრინციპულად ვამბობდი, რომ ანა მანიანი მინდა-თქო და ნუ, ვერ ვიპოვე საქართველოში ანა მანიანი... ვთვლი, რომ არ შევმცდარვარ მსახიობის არჩევაში. მაკა არა მხოლოდ პრეზიდენტის ცოლია, არამედ დამოუკიდებლადაც არსებობს და საკმაოდ ნიჭიერადაც“, – განაცხადა ლიკა ციხისელმა. (ნიუპოსტი)

### თბილისის მთავრობა „ჰერმესის“ ხელმძღვანელობის ანგარიშს მოისმენს

თბილისის მთავრობა 3 ოქტომბერს შპს „ჰერმესის“ ხელმძღვანელობის ანგარიშს მოისმენს. მერიის ცნობით, სერვისის მომწოდებელ კომპანიებთან ტრადიციული შეხვედრების ფორმატში, „ჰერმესის“ ხელმძღვანელობა თბილისის მთავრობას გაწეული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციას გააცნობს.

„ჰერმესი“ ქალაქში არსებული სასაფლაოების მართვასა და მოქალაქეებისთვის სარიტუალო მომსახურებას უზრუნველყოფს.

პარასკევის ტრადიციული შეხვედრების ფორმატში თბილისის მთავრობამ უკვე მოისმინა თბილისის სერვისის მიმწოდებელი კომპანიების: „სითი პარკის“, „თელასის“, „ყაზტრანსგაზ თბილისის“, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის, **outdoor.ge**-ს, „**GWP**“-სა და „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელების ანგარიშები. (ინტერპრესნიუსი)




ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### ვანო კიღურაძე განათლების სამინისტროს ისევ აკრიტიკებს



პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ ვანო კიღურაძემ განათლების სამინისტროს მიმართა:

„სასერტიფიკაციო გამოცდების არსებულმა სქემამ ვერ გაამართლა, შედეგები არის სავალალო და სამწუხარო, როცა 62 ათასი მასწავლებლიდან სასერტიფიკაციო გამოცდები 42 ათასმა ვერ ჩააბარა. მასწავლებელთა სერტიფიცირების არსებული წესი რომ შესაცვლელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობდეს, მაგრამ როცა ერთი სქემა მეორე სქემით იცვლება, საჭიროა დაფიქრება და საკითხის კარგად აწონ-დაწონა.

კანონპროექტში სტატუსები შეტანილია, თუმცა არც ერთი ეს სტატუსი დაკონკრეტებული და განმარტებული არ არის. მინდა მივმართო განათლების სამინისტროს – მასწავლებლები საცდელი ბაჭიები არ არიან. როცა ახალი სქემა შემოგაქვთ, ყველაფერი კარგად უნდა იყოს გათვალისწინებული, ყველა ტერმინი და ცნება ბოლომდე განმარტებული. ერთი გამოცდის ჩატარება ვერ შევძელით, ესე იგი რაღაც პრინციპები ვერ შევიმუშავეთ და როგორ შეძლებთ მასწავლებლების ოთხ კატეგორიად დაყოფას?! რა აზრობრივი დატვირთვა აქვს ამ ტერმინებს, ცხადად არ არის წარმოდგენილი, რა დევს თითოეული ტერმინის უკან და რა აზრობრივი დატვირთვა აქვს მას“, – განაცხადა კიღურაძემ. (ინტერპრესნიუსი)

*მესამე გვერდიდან*

ილავთ ამა თუ იმ პროექტს, თუ ციხიდან იქნებიან გამოშვებულნი მერაბიშვილი, ახალაია და ა.შ. მერაბიშვილს გახდიან ერთ-ერთ საკვანძო პოლიტიკურ საკითხად. პუტინი რომ პუტინია, თავის დროზე კასიანოვის დაპატიმრებას მოერიდა, კასიანოვი იყო რუსეთის პრემიერ-მინისტრი, მას ბრალი დასდეს დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში, მაგრამ პუტინმა ის არ დაიჭირა და ქვეყნიდან გააძევა. პუტინმაც კი არ გარისკა თავისი პრემიერის დაჭერა, რადგან ეს მიიღებდა პოლიტიკურ სახეს და თვითონ დაშავდებოდა. დღევანდელი ხელისუფლება აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა ხელისუფლების გადაბარების პროცესს, მას არ ჰქონდა გააზრებული სამოქმედო გეგმა, რომლითაც სახელმწიფოს უნდა ეარსება. ამიტომ როცა გაუაზრებელი ხვდები ასეთ პროცესებს, უშვებ უამრავ შეცდომას. მე ვწერდი, რომ შეცდომა იყო საერთაშორისო ძებნის გამოცხადება, საფრანგეთის სასამართლო არავითარ შემთხვევაში არ შექმნიდა პრეცედენტს, კეზერაშვილის ექსტრადირებაზე. საკმარისია ერთი საგაზეთო სტატია დაიწეროს პოლიტიკური ნიშნით ადამიანზე, რომ ისიც კი საბუთია, ადამიანმა უცხოეთში პოლიტიკური თავშესაფარი რომ მიიღოს. ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს არის საერთაშორისო პოლიტიკური თამაშის წესები. სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ „ტიმოშენკოები“ მოამრავლა, ბუნებრივია, პრეტენზიები იქნება. მით უმეტეს, როცა კანონიერებაზეა დავა. კანონის მიხედვით, საპატიმრო ვადად ითვლება 9 თვე, ამ პერიოდში უნდა დასრულდეს გამოძიება და სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს. ახალაიას შემთხვევაში ხდება აი, რა... წაუყენებენ ბრალს, გადის 9 თვე, 9 თვის ვადაში მიუსჯიან, მერე ახალ ბრალს წაუყენებენ, მოკლედ, მის შემთხვევაში დაირღვა 9-თვიანი ვადა, რაც ევროსაბჭოს რეზოლუციაშია მითითებული. აქედან ჩანს, რომ პოლიტიკური ნიშნით არის სამართალი განხორციელებული, საერთაშორისო პრაქტიკა თვლის, რომ 9 თვეს გადაცილებული ერთი დღეც კი ითვლება უკანონო პატიმრად...

**— ევროსაბჭოს რეზოლუცია გადავდოთ და შევხედოთ, რა ხდება თბილისის ქუჩებში, დგას თუ არა ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებისა და სისხლისღვრის ზღვარზე?..**

— სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნები სახეზეა, როცა ხელისუფლება მიდის პოლიტიკური ძალის განდევნის გზით და იწყებს ამ ძალის მარგინალიზაციას, მას უნდა ახსოვდეს, რომ ასეთ პოლიტიკურ ძალას ყოველთვის გამოუჩნდება მომხრეები. ძალიან ხშირად ვადარებ ხოლმე დღევანდელი ხელისუფლების მმართველობას გამსახურდიას მმართველობის მეთოდს. ხელისუფლების სათავეში მაშინაც მოუმზადებელი კონტინგენტი მოვიდა და ახლაც, მაშინაც მრავალსუბიექტიანი იყო პოლიტიკა და ახლაც. მაშინაც გამსახურდიას ხელისუფლება შიგნით დაუპირისპირდა ერთმანეთს და ეს ხელისუფლებაც ასეა. ერთ მშვენიერ დღეს განაწყენებულმა კიტოვანმა რკონის ტყეში ათკაციანი შეიარაღებული დაჯგუფება წაიყვანა. ერთ კვირაში ეს ათკაციანი დაჯგუფება იქცა 15 ათასად, დღეს რომ ვიღაცამ იარაღი აიღოს ხელში და ტყეში წავიდეს, დარწმუნებული ვარ, მეორე დღეს, ამ ხელისუფლებაზე განაწყენებული 5000 კაცი შეუერთდება. მე ვლაპარაკობ თეორიულ ვერსიაზე... რა თქმა უნდა, მოვლენები იმ სცენარით არ განვითარდება, რაც იყო 90-იან წლებში, მაგრამ ქვეყნის წინაშე არსებობს უამრავი საფრთხე და ამ თემაზე ცალკე ინტერვიუს მოგცემთ, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციები არის ძალიან საგანგაშო, თუ რა ხდება სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოში, ეს იმაზე დიდი საფრთხეებია, ვიდრე ის, რაც დღეს ხდება პეკინის №34-ში, როცა „თავისუფალი ზონა“ და „თავისუფალი თაობა“ ერთმანეთს დაუპირისპირდა, მონაგონი იქნება ეს დაპირისპირება იმასთან, რაც შეიძლება ამ რეგიონებში უახლოეს მომავალში ვიხილოთ.



**„კანონის მიხედვით, საპატიმრო ვადად ითვლება 9 თვე, ამ პერიოდში უნდა დასრულდეს გამოძიება და სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს. ახალაიას შემთხვევაში ხდება აი, რა... წაუყენებენ ბრალს, გადის 9 თვე, 9 თვის ვადაში მიუსჯიან, მერე ახალ ბრალს წაუყენებენ, მოკლედ, მის შემთხვევაში დაირღვა 9-თვიანი ვადა, რაც ევროსაბჭოს რეზოლუციაშია მითითებული. აქედან ჩანს, რომ პოლიტიკური ნიშნით არის სამართალი განხორციელებული...“**



**„ერთ მშვენიერ დღეს განაწყენებულმა კიტოვანმა რკონის ტყეში ათკაციანი შეიარაღებული დაჯგუფება წაიყვანა. ერთ კვირაში ეს ათკაციანი დაჯგუფება იქცა 15 ათასად, დღეს რომ ვიღაცამ იარაღი აიღოს ხელში და ტყეში წავიდეს, დარწმუნებული ვარ, მეორე დღეს, ამ ხელისუფლებაზე განაწყენებული 5000 კაცი შეუერთდება“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი სახიფათო ზღვარს გადავიდა“



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ „თავისუფალი ზონის“ ოფისთან განვითარებული მოვლენები შეაფასა:

„ჩვენ ორი წელია ვხედავთ ძალადობისა და განსაკუთრებით პოლიტიკური ძალადობის ესკალაციას. ხოლო ორი დღის წინ ეს ყველაფერი ახალ სიბრტყეში გადავიდა, როდესაც პრაქტიკულად პოლიციის კოორდინირებითა და ზედამხედველობით „თავისუფალი ზონის“ ოფისში ორგანიზება მოხდა, ანუ ადგილი ჰქონდა პოლიტიკურად ხელისუფლებისთვის მიუღებელი ჯგუფის ოფისში შევარდნის მცდელობას, დარბევის მცდელობას, ეს ძალიან სახიფათო გზაა, პირველ რიგში ხელისუფლებისთვის და პირადად ივანიშვილისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი ქვეყნისთვისაც. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ასუსტებს ჩვენს ქვეყანას და არის ხელსაყრელი ყველა ჩვენი მტრისთვის“, – განაცხადა გიგა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)

## „ეს არის დესტრუქციული ქმედება“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი, „თავისუფალი ზონასთან“ გამართულ აქციასთან აფასებს:

„გაუგებარი ორგანიზაციების, ზონისა თუ სხვათა ქმედებები, ეს არის დესტრუქციული მოქმედებები, მე მათ ქმედებაში ვხედავ მხოლოდ დესტრუქციას, თუნდაც ჟურნალისტზე თავდასხმა“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოფელ დვაბზუში ქმარმა ცოლი მოკლა და გვამი სახლთან ერთად დაწვა




ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში ქმარმა ცოლი ჯერ მოკლა, შემდეგ კი სახლს, სადაც გვამი იყო, ცეცხლი წაუკიდა. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს:

„შსს-ს გურიის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოსა და გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული თემურ რ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში, ეჭვიანობის ნიადაგზე, საკუთარ მეუღლეს – 1985 წელს დაბადებულ ნატალია რ-ს თავის არეში ნაჯახით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ქალბატონი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა თემურ რ. დვაბზუში, მომხდარიდან რამდენიმე წუთში, იმ დროს დააკავეს, როდესაც ის მიმალვას ცდილობდა. დანაშაულის ჩადენის იარაღი, ნაჯახი შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. (ნიუპოსტი)

## სანდრო ბრეგაძე მედიასთან ურთიერთობის საკითხებს უხელმძღვანელებს




დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ თავისი ახალი მოადგილე სანდრო ბრეგაძე წარადგინა. როგორც დუმბაძემ აღნიშნა:

„სანდრო ბრეგაძე საზოგადოებაში ცნობილია, როგორც გამორჩეული, თავის ქვეყნის პრინციპული მებრძოლი და ძალიან კარგი პროფესიონალი. ვფიქრობ, მედიასთან ურთიერთობა, საჯარო შეხვედრები, პიართან დაკავშირებული საკითხები მეტ ყურადღებას მოითხოვს. ბატონ სანდროს ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს და კანდიდატების ხანგრძლივი შერჩევის შემდეგ გადავწყვიტეთ მის კანდიდატურაზე შეჩერება სწორედ მისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე“, – განაცხადა დუმბაძემ.

სანდრო ბრეგაძემ კი მადლობა გადაუხადა „ქართულ ოცნებას“ ნდობისთვის და პირადად მინისტრ გელა დუმბაძეს. როგორც ბრეგაძემ აღნიშნა, „მე ვფიქრობ, ამ სფეროს კარგად გაძღოლა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი იქნება“, – განაცხადა ბრეგაძემ. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რეზო ამაშუკელი: „ამ ამბებს რომ დავახეთქებ, ოჯახებს ამოწყვეტენ, ისეთი რამეები ვიცი...“

„ალიას“ ესაუბრა პოეტი **რევაზ ამაშუკელი**:

**— ბეტონო რეზო, ახალგაზრდებს მოუწოდეთ, ჩემთან მოდით და გაჩვენებთ, რა შემიძლიაო. თუ გამოგეხმაურათ ვინმე და რამდენი ახალგაზრდა მოვიდა?**

– მე ჰერაკლე და ბოთლიდან ამოსული ჯინი არა ვარ, მაგრამ რაღაც მეც შემიძლია. ხალხს ეზიზღება „ნაციონალები“ და ეს ახალი ამბავია? ახალია, რომ არ გადის მაგათთან არც შეგონება და არც არაფერი? ჩემთან ამის შემდეგ ნამდვილად მოვიდნენ ახალგაზრდები და მათ ვუთხარი, რომ „ნაციონალები“ გამზადებულები არიან პროვოკაციის მოსაწყობად და არ შეიძლება, ამას ახალგაზრდობა აჰყვეს, არ შეიძლება! აკებიან? მერე, დაკვირდით, რა ხალხია იქ შეკრებილი? დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: სიტუაცია იმდენად გამწვავებულია, რომ ყველაფერი თავისთავად მოხდება, მაგრამ, რასაც ვუყურებ, სხვა გზას არ გვიტოვებენ „ნაციონალები“. არ მინდა, ირაკლი ღარიბაშვილს გადავახტე, ეგ ბიჭი მომწონს იმიტომ, რომ დაემხო პატრიარქის წინაშე, პატივი გამოხატა მის მიმართ და ეს უკვე მესიჯი იყო ჩემთვის, ღარიბაშვილმა გამოაცხადა, რომ ერთსქესიანი ქორწინება არ იქნება და დააკვირდით მერე, მაგასაც ახრჩობენ და მაგისი მოცილება უნდა სუყველას.

**— ჩვენ ამ საკითხზე ვწერდით, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ვის უნდა?**



არიან.

**— მოდით, ამ შემთხვევაში ისევ „ნაციონალებს“ მივუბრუნდეთ: ყველა ვხედავთ, რომ მაგათ ნამდვილად არ ასვენებთ გამჩენი და ისიც ფაქტია, რომ იმდენი ხალხი არ გამოდის მათი პროვოკაციების გასაპროტესტებლად, რამდენიც საჭიროა. რა ხდება: ხალხი „ნაციონალებს“ ამ პროვოკაციას ტყუილ ფაფხურად უთვლის, თუ „ოცნებაზე“ აიყარეს გული?**

– თავისთავად ამით ამ ჩვენს ახალ თაობას სისულელეებს ჩაადენინებენ ესენი, რადგანაც ბავშვები ემოციურები არიან. ამ ხნის კაცი ვარ და ცალი ფეხით საფლავში ვდგავარ და მე ვარ ემოციური და ახალგაზრდის ემოცია უნდა გამიკვირდეს, როცა ასეთი ტექსტებითა და სიტყვებით ელაპარ-



**„არ მინდა, ირაკლი ღარიბაშვილს გადავახტე, ეგ ბიჭი მომწონს, იმიტომ, რომ დაემხო პატრიარქის წინაშე, პატივი გამოხატა მის მიმართ და ეს უკვე მესიჯი იყო ჩემთვის, ღარიბაშვილმა გამოაცხადა, რომ ერთსქესიანი ქორწინება არ იქნება და დააკვირდით მერე, მაგასაც ახრჩობენ და მაგისი მოცილება უნდა სუყველას“**

– ყველას, ბევრს! და ნუ დამასახელებინებთ, ძალიან გთხოვთ, გვარებს, თქვენ ხომ მიცნობთ, რომ მართლა არაფრის არ მეშინია და არაფერზე დავიხევ უკან, მაგრამ თავად ირაკლი არ მინდა, ჩავაგდო უხერხულ მდგომარეობაში და მანდ, ვიმეორებ, მარტო „ნაციონალები“ არ ცხადია, „ოცნებასთან“ ქართველ ხალხს პრეტენზიები აქვს, მაგრამ სანამ პასუხს გავაგრძელებდე, პირადად ჩემს მოსაზრებას გეტყვით: ის, რომ დღეს ცოცხალი ვარ, ეს „ოცნების“ დამსახურებაა, რადგანაც დასახვრეტთა სიაში მეორე პირად ვეწერე.

**— და პირველი ვინ იყო?**

– მეუფე იობი. ასეა, ძალიან ბევრი დახვრეტილი ვიქნებოდით 2 ოქტომბერს და ამაში ეჭვი ხომ არავის ეპარება? ამის გარდა, ვთვლი, რომ ბიძინა ივანიშვილს ბევრის უფლება აქვს, რადგანაც 30 წლის საკონცენტრაციო ბანაკი ჩამოაცილა საქართველოს. როგორ მიცნობთ, ამაში კონიუნქტურას ხედავთ? ეს რომ მდომებოდა, ყველაფერს მივაღწევდი: ფულიც მექნებოდა და თანამდებობაც, მაგრამ მერე ცხვირში წამომადენდნენ ყველაფერს და ეს რომ ვიცოდი, ამიტომაა, რომ ხმას ვერ მცემენ და ვერაფერი მიპოვეს, მაგრამ ვამბობ, რომ ხალხმა „ოცნებაზე“ გული აიყარა და ამას ხმამაღლა ვაცხადებ. ილია ჭავჭავაძის ფეხის ნაბანი არ ვარ, მაგრამ, როგორც რიგით ქართველს, მაქვს იმის უფლება, რომ ქართველებს პირდაპირ ვუთხრა: დღეს რომ ვილაცას სახლი ავუშენო, და ხვალ რომ იმ კაცმა ასანთი მთხოვოს და არ მქონდეს ჯიბეში, წყალში გადაგიყრის ყველაფერს! იმიტომ, რომ უმადური ერი ვართ ჩვენ, მაგრამ იმასაც ვამბობ, რომ ამ ხელისუფლების თავში ის სიბინძურე არასოდეს მოიხარშება, რაც იმ გარეწრების თავში იხარშებოდა. გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილის ფული მოგონებაა იმასთან შედარებით, რაც „ნაციონალებს“ აქვთ.

**— „ალიაში“ დაიწერა, რომ უნგრეთიდან, სავარაუდოდ, 5 მილიონი დოლარი შემოდის „თავისუფალი ზონისთვის“ და ამათ ფულს თავად „ნაციონალები“ ურიცხავენ ადეიშვილის ხელით.**

– ეს წვეთია, რაც ვიცით. რომ იცოდეთ, აქ ძალიან დიდი ფული შემოდის, დიდმა ფულმა კი დიდი სიძუნწე იცის და ესენი ხომ ღორები არიან? სახლიდან ფული არ გამოაქვთ, მაგრამ, როცა მიხვდნენ, რომ ან ფული უნდა დაყარონ, ან თავები, უკვე დაიწყეს ფულის დაყრა. ახლა დააკვირდით: ეს შაშკინი-მაშკინი, უტიაშვილი, ის ბეკეკა რომ არის, წვერებიანი (გამოთქმით), სერგი კაპანაძე, ეს ჭუპრებიდან გამოჩეკილი ხალხი, ამას მიუმატეთ ის 22 არასამთავრობო, რომელიც დავთვალე, ეგ საია-მაია და სხვები, ამათ კარგად იციან, რომ ელექტორატი ამათ ახლა არ გაჰყვება, ამიტომ ემზადებიან 2016 წლის არჩევნებისთვის და ხომ ხედავთ, იმუქრებიან! ეს ყველაფერი სააკაშვილის კარნახით ხდება და, სააკაშვილი კი რომ ვერ ისვენებს? მაგას, როგორც ჩანს, ის ურჩევნია, რომ ამოიძირკვოს, მაგას პატიმრობაც არ უშველის, რადგანაც ავადმყოფია.

აქციაზე მოვისმინე, რომ თურმე რაღაც პიკასო-მიკასოს კლუბია, თუ ვინ ოხრები არიან, მაგათი ახალგაზრდები ჰყავთ მოყრილი და ნელნელა იწყებენ თურმე რევოლუციისთვის მზადებას. მაგრამ მე თუ ვხედავ ამას და ვიცი, ჩემს გარდა სხვამაც ხომ იცია? ხოდა, თუ ხელისუფლებამ ამას დროზე არ მიხედა, ეს ამბავი ძალიან ცუდად დამთავრდება და კატეგორიულად ვითხოვ, როგორც რიგითი მოქალაქე, რომ შეისწავლონ, რა ფულით ფინანსდებიან ეს არასამთავრობოები, რა უწერიათ წესდებაში და პროგრამაში და რეალურად, რას ემსახურებიან; ვინ აფინანსებს ამათ და რა გეგმები აქვთ, აი, ამის შემდეგ ხელისგულზე დაიდება ყველაფერი! ეს რომ არის, ეს ელენე ხოშტარია, აი, ბეჭებს რომ გადაშლის, კაი ხანს ეგ ხოშტარია მეგონა ბიჭი, თან ლამაზი ბიჭი, თუმცა, არც ბოლომდე ვარ დარწმუნებული, რომ სრული ქალბატონია.

**— მწარე ენა გაქვთ, ბატონო რეზო.**

– კი, მეუბნებიან, მწარე ენა გაქვსო, მაგრამ მთელი უბედურება იწყება შინაგანი კომპლექსებისგან. ეგენი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პრემიერ-მინისტრმა პატრიარქს მიუსამძიმრა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პატრიარქს ძმის გარდაცვალების გამო მიუსამძიმრა. მთავრობის მეთაური სამთავროს დედათა მონასტერში, ილია მეორის ძმის, ბერი გიორგის დაკრძალვაზე, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად იმყოფებოდა.

სამთავროს დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძარში ასევე იმყოფებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

რამდენიმე მეუფის მიერ შესრულდა პანაშვიდი და გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად წირვა აღევლინა.

ბერი გიორგი (ვიქტორ შიოლაშვილი) პატრიარქმა ბერად 2013 წლის 4 სექტემბერს აღკვეცა. ის მცხეთის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში განამწესეს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კადეტთა სამხედრო ლიცეუმს გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელი მიენიჭა



ქუთაისში კადეტთა სამხედრო ლიცეუმისთვის გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელი მიენიჭა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, საბრძოლო მომზადებაში მიღწეული წარმატებებისა და ჯარების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისთვის გენერალ კვინიტაძის მედლით 10 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა. (ინტერპრესნიუსი)

## ღირსების შელახვისთვის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელი გახდა



პარლამენტმა მესამე და საბოლოო მოსმენით დაამტკიცა კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. კანონპროექტის მიხედვით, გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დასაცავად ცილისწამების თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია პირს, რომელსაც საამისოდ დაცვის ინტერესი აქვს.

მას ასევე, შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. ამასთანავე, პროექტით, სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელი ხდება. (news.ge)

*მეხუთე გვერდიდან*

ყველანი ნაკლულები არიან, ამიტომ ეზიზღებათ მთელი ქვეყანა და ამიტომაც არიან „ნაციონალები“! რაც შეეხება ხალხის გამოსვლას, „ზონასთან“ აქცია რომ მოეწყო, ბევრი ხალხი არც უნდა გამოსულიყო. ორი დღის წინ თავად მოვუწოდე ახალგაზრდებს, რომ ჟურნალისტებს გვერდით დავუდგეთ-მეთქი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთმა არ ქნას, რამე მოხდეს, თორემ ხალხი მოვა კი არა, მოვარდება. ასე დაჯერებული და დარწმუნებული რომ არ ვიყო, ამას ვერც ვილაპარაკებდი, არადა, ხალხი ამას იხვეწება, იმდენად ეზიზღებათ ესენი!

**— რასაც ვაკვირდებით, „ნაცები“ ორი წლის თავზე ძალიან გამამაცდნენ, გვიყვირიან ეკრანებიდან, გვლანძღავენ და ეს რისი ბრალია?**

– ეს არის ხელისუფლების ბრალი, ჩემო კარგო, და გეტყვით, რაშია საქმე: ჩემი დოსიე დევს ამერიკის საელჩოში და არც ამისი მეშინია. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ იმ დასავლეთში „სახალხო პარტია“ რომ არის, თუ ვინ ოხრები არიან, იქიდან ათიდან რვა მექრთამეა. გიგა ბოკერიამ გაზიდა მანდ ფული და ეგ ბოკერია არის პირველ რიგში დასაპატიმრებელი და ასაკეპი!!! აირჩიოს მაგ დასავლეთმა, ან ქართველი ხალხი და საქართველო, ან ეს ფაშისტები!!! ორივე ერთად არ გამოვა, ბატონებო!!! მე პირველი ამერიკის მოტრფიალე ვიყავი და ახლა რას ვხედავ? რუსი მე დღეს არ მეუბნება, რომ ცოლად მოიყვანე ბიძაშვილი და ბიჭი შეირთე ცოლადო და ყველაფერი უკუღმა რატომ ხდება ჩვენში? ის ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს, მაშინ პატრიარქმა თქვა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ნახავთ, რაც მოხდებაო. გუშინწინ ძმის გარდაცვალების გამო სამძიმარზე ვიყავი პატრიარქთან და მიუხედავად მისი ტკივილისა, პატარა ლაპარაკიც გვქონდა, დამამშვიდა და ისე გამომიშვა. აი, მაგ კანონს ვინც ხელი მოაწერა, მერე ვინც შეიტანა, მერე ვინც დასთანხმდა (ხმას უწევს), ყველა მტერია საქართველოსი! ხმამაღლა ვაცხადებ ამას!

**— პარლამენტში ყველა დასთანხმდა, სრულიად 112 დეპუტატმა მისცა ხმა!**

– ხოდა, მაშინ ყველა ეგრეა. მიტინგებზე რომ მაგარი ბიჭები იყვნენ და იქ რომ ჩაჯდნენ სავარძლებში, მერე? მოკლედ, როგორც არის... მოვა მაგისი დროც და ვიტყვი, რაც სათქმელია, ყველაფერს! რაც შეეხებოდა მიტინგს, ეს იყო რედაქციის იმპულსი და მეც მათ გვერდით ვიყავი. რაა დასამალი: დღეს ყველა ტელევიზიამ ზურგი შემაქცია, ყველამ კარი მომიკეტა, აქუბარდიამ, მაქუბარდიამ და სუყველამ, რადგანაც, რომ მივალ, თუ ღია ეთერში არ დამსვეს, ისე არ ვლაპარაკობ, მაგათ ჩანაწერებს არ ვენდობი. და სხვაგან რა ხდება? ნანუკა ჟორჟოლიანის შოუში მიმსვლელი ვარ, ხურუშიანებს რომ აგროვებენ? ან ეს მაია ასათიანი ვინაა? ეს დედაკაცი რეებს ასმენინებს ქვეყანას, ან რეებს ისმენს თვითონ? სად გაიზარდა? მე რომ მომდგებიან და მეუბნებიან, არაკორექტული ხარო და ჩემი ლექსიკა არ მოსწონთ. ამ დროს ყველა მესამე სიტყვაზე თავად რეებს ლაპარაკობენ, დაუგდეთ თქვენ თვითონ ყური!

**— ისევ თემას რომ დავუბრუნდეთ, ბრძანეთ, ხალხი „ოცნებაზე“ გულაცრუებულიაო და როდის უნდა შემობრუნდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები ხალხისკენ?**

– მაგაზე მოკლედ გეტყვით, თუ მთავრობამ ისევ გააგრძელა ამ ყველაფერზე წაყრუება, თვალის დახუჭვა, არაფერი გამოვა. გავიხსენოთ, ამ „ნაცებს“ ნახევარი საქართველო ციხეში ჰყავდათ, ახლა რომ გამოდიან და ამბობენ, ეგ ჩვენთან სად იყოო? ყველა ციხეებში შეყარეს, დამნაშავე თუ არადამნაშავე და თვითონ იყვნენ მარტო გარეთ, აბა, თავის თავს ხომ არ დაიჭერდნენ? დღევანდელი ხელისუფლება კი თუ არ მოტრიალდება ხალხისკენ, მაშინ ხალხი მიტრიალდება ხელისუფლებისკენ და ეს მიტრიალება იქნება ძალიან ცუდი!



**„ის ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს, მაშინ პატრიარქმა თქვა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ნახავთ, რაც მოხდებაო. გუშინწინ ძმის გარდაცვალების გამო სამძიმარზე ვიყავი პატრიარქთან და მიუხედავად მისი ტკივილისა, პატარა ლაპარაკიც გვქონდა, დამამშვიდა და ისე გამომიშვა. აი, მაგ კანონს ვინც ხელი მოწერა, მერე ვინც შეიტანა, მერე ვინც დასთანხმდა (ხმას უწევს), ყველა მტერია საქართველოსი! ხმამაღლა ვაცხადებ ამას!“**



**„ჩემი დოსიე დევს ამერიკის საელჩოში და არც ამის მეშინია. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ იმ დასავლეთში „სახალხო პარტია“ რომ არის, თუ ვინ ოხრები არიან, იქიდან ათიდან რვა მექრთამეა. გიგა ბოკერიამ გაზიდა მანდ ფული და ეგ ბოკერია არის პირველ რიგში დასაპატიმრებელი და ასაკეპი!!! აირჩიოს მაგ დასავლეთმა, ან ქართველი ხალხი და საქართველო, ან ეს ფაშისტები!!! ორივე ერთად არ გამოვა, ბატონებო!!! მე პირველი ამერიკის მოტრფიალე ვიყავი და ახლა რას ვხედავ?“**

**— მართლა მასე იქნება და ბოლოს, ევროსაბჭომ 2 ოქტომბერს გამოაცხადა, რომ რეგიონების ენებს უნდა მიხედოს საქართველომო.**

– რეგიონულ ენებზე ლაპარაკი დიდი ხნის წინ ჩადებული ნაღმია და ძალიან ფაქიზი თემა. სამწუხაროდ, ამას ხელს უწყობენ ისევ ქართველები და ის რეგიონები, რომლებსაც ქართულად ლაპარაკი თურმე არ ეკადრებათ, მაგრამ ეგ ამბავი არ გამოვა საქართველოში... თუმცა უბედურება რა არის, იცით? ამაზე ხმის ამოღება რომ არავის უნდა! მე დავიღალე, ყველაფერზე რომ ვლაპარაკობ და ხანდახან ვფიქრობ, მეტიჩარა ხომ არ ვარ, ვინ მკითხავს, დავეგდო ჩემთვის-მეთქი, მაგრამ ოთხი შვილთაშვილი მყავს, ბიჭები, ეს არეული და ენაწართმეული ქვეყანა პედარასტებს დავუტოვო? ესაა ჩვენი ქართველობა? რა გავაკეთო? კითხვას ვსვამ, სადაა ჩვენი ინტელიგენცია? თუ არის საერთოდ? ძალიან ცოტანი დარჩნენ გარშემო, მაგრამ ხმის ამოღებაა საჭირო, მარტო ერთ მერაბ ბერძენიშვილს ხომ არ ჩამოვეკიდებით?

**— თქვენ ერთხელ ბრძანეთ, ისეთი რამეები ვიცი „ნაციონალებზე“, ღმერთმა ნუ ქნას, ის ვთქვა ხმამაღლაო!**

– მართალია, მაგრამ მოდი, ცოტას ვისპეკულანტებ, ვისწავლე მაგათგან შანტაჟისტობა და იმ ორ ამბავს, ისეთი რაღაც რომ ვიცი მაგათზე, ჯერ არ გავამჟღავნებ. მაგრამ ამბებს ისეთ დროს დავახეთქებ, რომ ადამიანები ხომ არიან? თვალი აქვთ, ცხვირი, ყური, სისხლი ხომ აქვთ, ხოდა, ოჯახებს ამოიწყვეტენ, ისეთი რამეები ვიცი. ისე, რასაც ვაკვირდები, ძალიან კარგი რამე ყოფილა შანტაჟი და თან, რაც მაქვს, ნაღდი მაქვს! დაბოლოს, მაინც უზრდელობას მაბრალებენ და რადგანაც ასეთი უზრდელი ვარ, ისე არ მინდა დავემშვიდობო თქვენს მკითხველს, რომ რჩევა არ მივცე „ნაციონალებს“: მიხედონ თავის ცოლებს, თითოს ათასი კილომეტრი რომ აქვს გავლილი და მერე „სპიდომეტრები“ რომ აქვთ ჩამოყრილი და ეს იმიტომ ხდება, რომ არც ერთი მაგათგან კაცი არ არის! (დამარცვლით) არც ერთი არაა ის, რასაც კაცი ჰქვია! ამიტომ, რა ფასი აქვს მაგათ პარლამენტში ყოფნას? ან მაგათ მილიარდებს?

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ვამაყობთ იმით, რომ მთელი საზოგადოება გვერდში უდგას ქართულ ჯარს“



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია სტრასბურგში მიღებულ რეზოლუციას ეხმაურება:

„ბუნებრივია, შეფასებები, რომელიც გაკეთდა, ჩვენთვის, ყველასთვის, საყურადღებოა – საზოგადოებისთვის, პოლიტიკოსებისთვისაც და დარწმუნებული ვარ, რა მაგალითსაც ჯარი აძლევს პოლიტიკოსებს, ეს მაგალითი სხვებისთვისაც გახდება. მე მართლაც მეამაყება, რომ ჩვენი თავდაცვა, შეიარაღებული ძალები და ჯარი იმსახურებს და აქვს სრული მხარდაჭერა, როგორც მმართველი გუნდისგან პარლამენტში, ასევე ოპოზიციის მხრიდანაც. ჩვენ გამორჩეულები ვართ და ვამაყობთ იმით, რომ მთელი საზოგადოება გვერდში უდგას ქართულ ჯარს. აქედან გამომდინარე, ჯარიცა და თავდაცვაც არის ის თანხმობის წერტილი, რომელსაც პოულობენ ხელისუფლების, მმართველი გუნდისა და ოპოზიციის წარმომადგენლები“, – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## დაპირისპირება თბილისის აეროპორტში — რა ინციდენტი მოხდა რომის აეროდრომზე

„ნიუპოსტისთვის“ ცნობილი გახდა, რომ 2 ოქტომბერს, დილით, გამთენიისას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრებსა და კომპანიას შორის დაპირისპირება მოხდა. ინციდენტი თბილისი-რომის მიმართულებით არშესრულებულ ფრენას მოჰყვა.

როგორც **ALITALIA**-ს თანამშრომლებმა განაცხადეს, რომის აეროპორტის, **FIUMICINO**-ს აეროდრომზე, **ALITALIA**-ს კუთვნილი თვითმფრინავს, რომელსაც თბილისი-რომის რეისი უნდა შეესრულებინა, სხვა კომპანიის თვითმფრინავი შეეჯახა და ის რეისის შესასრულებლად ველარ გამოფრინდა.

დაზარალებული მგზავრების განცხადებით კი, **ALITALIA**-ს რეისი შესაძლოა, საერთოდ აღარ შესრულდეს, რადგან კომპანია გაკოტრდა და მისი აქტივები არაბული **ETIHAD**-ის ხელში გადავიდა.

აღსანიშნავია, რომ კომპანია **ALITALIA** თბილისი-რომის მიმართულებით 12 ოქტომბრიდან 2 აპრილამდე ფრენებს წყვეტს. ამის მიზეზად მგზავრების სიმცირე სახელდება. (ნიუპოსტი)

## შს მინისტრმა საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო სექტორი გახსნა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესამე სამმართველო „წითელი ხიდის“ მეცხრე სექტორ „ვახტანგისის“ შენობა საზეიმოდ გახსნა. სასაზღვრო სექტორის ახალი შენობა ევროპული სტანდარტების მიხედვით არის აშენებული. ინფრასტრუქტურა უახლესი ტექნოლოგიებით მოეწყო და აღჭურვილია სხვადასხვა სახის თანამედროვე აპარატურით. (ნიუპოსტი)

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# აშშ-ში „ქართული ოცნების“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ალაპარაკდა

**კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ თავისი მომხრეები რომ „დაიკიდა“, ეს თემა ლამის უკვე გაცვდა, მაგრამ ბოლო დღეებში იგივე საკითხზე ამერიკაში მცხოვრები ქართველებიც ალაპარაკდნენ. როგორც ამერიკაში შექმნილი „ქართული ოცნების“ ორგანიზაციის დავიწყებული ხელმძღვანელი, ანტონ ჯღამაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, რომ არა გულგრილობა და მართლა „დაკიდება“ თბილისიდან, ნიუ-იორკში ვერც ირაკლი ღარიბაშვილს დაუწყებდნენ გინებას და ვერც „ნაციონალები“ გაშლიდნენ ფრთებს ამერიკაში:**

– ჩვენ ირაკლი ღარიბაშვილთან ნაკლები პრეტენზიები გვაქვს, ის ყოველდღე ვერ ივლის ჩვენთან. რაც მოხდა ამერიკაში, ეს არის ძალიან ცუდი, მაგრამ რატომ გაუკვირდა „ქართულ ოცნებას“, რა ეგონათ, ასეთი რამ ამერიკაში არ მოხდებოდა? რა, ბერკეტები შეინარჩუნეს, აქტივი შეინარჩუნეს თუ ემიგრანტების განწყობა, რაც 2012 წლამდე არსებობდა? ხალხი, რომელიც იბრძოდა და თავს დებდა, სრულიად იგნორირებულია. ჩემზე არ არის ლაპარაკი, ჩემს გარშემო იყო საინიციატივო ჯგუფი, რომელიც დღე და ღამე მუშაობდა. ხალხმა არჩევნების პერიოდში აქ შეღავათები აიღო და შემოსავლის ნაწილი დაკარგა, ყველაფერი გაჭირვებული ადამიანების კისერზე გადავიდა. ახლა, უყურადღებობის გამო, გაჩნდა უიმედობა, ნიჰილიზმი და სწორედ ამიტომ გაბედეს „ნაციონალებმა“ ღარიბაშვილის გინება.

**— ანტონ, რა ძალა აქვთ ამერიკაში „ნაციონალებს“, მართლა სერიოზულად მუშაობენ თუ 5-6 კაცი დარბის ქუჩაში?**

– ახლა გეტყვი ერთ მაგალითს და მიხვდები, რაც ხდება: ჩვენ ამერიკაში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები წავაგეთ, „ნაციონალებმა“ 300 ხმით მოგვიგეს. არადა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მოვიგეთ. 9 თვე დასჭირდა იმას, რომ „ქართულ ოცნებას“ ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები წაეგო. თუკი ჩვენ 9 თვის განმავლობაში ვერც ბერკეტები შევინარჩუნეთ და ვერც აქტივისტები, როგორ ფიქრობ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში რა მოხდება? თუ ასე გაგრძელდა, ეჭვი მეპარება, ჩვენ „ნაცმოძრაობას“ მოვუგოთ. უნდა შეიქმნას კომისია, ამუშავდეს იგივე საინიციატივო ჯგუფები, ჩამოვიდეს დიასპორის მინისტრი. დავით ბაქრაძე რომ მოგიგებს ამერიკაში, თავი სად უნდა გამოყო? მაგალითად, პაატა აბჟანდაძე, რომელმაც გაეროს შტაბ-ბინასთან პროვოკაცია მოაწყო, არის „ნაცმოძრაობის“ საყრდენი ძალა. ეს ადამიანი აკეთებს ყველაფერს, რომ ხალხი გადაიბიროს და „ქართული ოცნება“ „დააჩმოროს“. მიხეილ სააკაშვილი აქ არის, დიმიტრი შაშკინის აქ არის, კახა ლომაიაც აქ არის, თემურ იაკობაშვილიც აქ არის, „ნაცმოძრაობის“ დეპუტატები ყოველთვიურად ჩამოდიან, შეხვედრებს მართავენ სააკაშვილთან. აქვთ დაწერილი პროგრამები, ემიგრანტებთან უკვე ოჯახ-ოჯახ დადიან, მართავენ ღონისძიებებს და ქართველებში ეწევიან აგიტაცია-პროპაგანდას. მეტი რა გინდათ? სააკაშვილი დადის, არიგებს ამ მედლებს და ორდენებს. კახა ლომაიას მეგობარი გიორგი შენგელიაც აქ არის, სააკაშვილმა ღირსების ორდენი რომ გადასცა, ეგეც მაგრად მუშაობს. დღეს „ნაციონალებს“ აქ ჰყავთ 300-კაციანი აქტივი, როცა დასჭირდებათ, არც ერთი არ დაიხევს უკან. 200 კაცი ჰყავთ რეზერვში. 500-კაციანი აქტივი ცოტა არ არის ნიუ-იორკში. ჩვენ გაცილებით მეტი აქტივისტი გვყავდა და დღეს გაჩნდა სამი მიმდინარეობა: პირველი – „ნაცმოძრაობა“, მეორე – „ნაცმოძრაობა“, რომელიც შეივსო განაწყენებული „ოცნებისტებით“, მესამე – ნიჰილიზმით დაავადებული „ოცნებისტები“, რომლებიც უიმედოდ დარჩნენ. რატომ მოხდა ასე? კაციშვილი ფულს არ ითხოვდა და კაციშვილი ხელფასს არ ითხოვდა, აქ საჭირო იყო ყურადღება და დალაპარაკება. მაგალითად, დიასპორის სამინისტროს ჰქონდა პროგრამა – ონლაინრეჟიმში ქართული ენის შესწავლა. მე ენათმეცნიერი არა ვარ, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, დავჯდე კომპიუტერთან და „სკაიპის“ საშუალებით ვისწავლო ქართული. მე ამერიკაში სპორტულ ჯგუფებს ვხელმძღვანელობ, მყავს წარმატებული ბავშვები, რომლებსაც თავზე ვადგავარ და მაინც ვერ დამიწერია ბოლომდე, შენ 7-8 წლის ბავშვებს „სკაიპით“ ქართული როგორ უნდა ასწავლო? როგორც ვიცი, ამ პროექტის განხორციელებაში ასეულობით ათასი დოლარი უნდა დახარჯულიყო, ჯერჯერობით ვერ განახორციელეს. ეს არის აბსურდი, აქ „სკაიპით“ ლაპარაკი არაფერს მოგვიტანს. ირაკლი ღარიბაშვილს სჭირდება ძლიერი კადრები, რომლებიც ამ ყველაფერს შეისწავლიან და მერე შეიმუშავებენ პროგრამას. ბოლოს და ბოლოს, ნიუ-იორკში ერთ ქართულ ცენტრს მაინც დავაარსებდი, თავს მოვუყრიდი ემიგრანტებს და დაველაპარაკებოდი, ამ ხალხს ვაგრძნობინებდი, რომ საქართველოს მოქალაქეები არიან. ვიმეორებ, ესენი არ ითხოვენ ფულს და თანამდებობებს.

**— როგორც ვიცი, როცა ირაკლი ღარიბაშვილი იყო ჩამოსული ნიუ-იორკში, თქვენ შეგხვდათ. არ ვგულისხმობ ბოლო ჩამოსვლას.**





**„ჩვენ ირაკლი ღარიბაშვილთან ნაკლები პრეტენზიები გვაქვს, ის ყოველდღე ვერ ივლის ჩვენთან. რაც მოხდა ამერიკაში, ეს არის ძალიან ცუდი, მაგრამ რატომ გაუკვირდა „ქართულ ოცნებას“, რა ეგონათ, ასეთი რამ ამერიკაში არ მოხდებოდა? რა, ბერკეტები შეინარჩუნეს, აქტივი შეინარჩუნეს თუ ემიგრანტების განწყობა, რაც 2012 წლამდე არსებობდა? ხალხი, რომელიც იბრძოდა და თავს დებდა, სრულიად იგნორირებულია“**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## „მოწმეთა დაკითხვა სასამართლოებში მოსამართლეთა დატვირთვას გაზრდიდა“

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, კოტე კუბლაშვილმა, ევროსაბჭოს მიღებულ რეზოლუციაში საქართველოს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ შესწორებებზე კომენტარი გააკეთა:

„რაც შეეხება მოწმეთა დაკითხვას, მე ადრეც განვაცხადე, რომ მოწმეთა დაკითხვა სასამართლოებში მოსამართლეთა დატვირთვას გაზრდიდა, თუმცა, რომ ვთქვათ, რომ სასამართლოს გამო გადაიდო ეს დოკუმენტი, ეს არ იქნება სწორი განცხადება. სასამართლო შეძლებდა მაინც, რომ ახალი სისტემისთვის ყველაფერი გაეკეთებინა, რათა სისტემა კარგად ამოქმედებულიყო“, – განაცხადა კოტე კუბლაშვილმა. (ნიუპოსტი)

## პრეზერვატივი, ცოცხი, კვერცხები, ბოთლები...

პრეზერვატივი, ცოცხი, კვერცხები, ბოთლები – ეს ის ნივთებია, რომელსაც აქციაში მონაწილე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები „თავისუფალი ზონის“ წინააღმდეგ იყენებდნენ.

პეკინის გამზირზე მიმდინარე აქციაზე სიტუაცია რამდენჯერმე დაიძაბა.

აქციაზე რეზო ამაშუკელი, გია კორკოტაშვილი, ტრისტან წითელაშვილი და რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

„თავისუფალი ზონის“ ოფისთან პატრულის 200-მდე თანამშრომელი იმყოფებოდა. აქციაზე შეკრებილები „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის, ზაზა დავითაიას ცემის ფაქტს აპროტესტებდნენ. (ნიუპოსტი)



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსეთის საგარეო უწყება ღარიბაშვილის განცხადებას ეხმაურება

საქართველოში სირიელი მეამბოხეების საწვრთნელი ბაზის განთავსებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ეხმაურება.



„რამდენიმე ხნის წინ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, საქართველოში სირიელი ამბოხებულების საწვრთნელი ბაზის გახსნასთან დაკავშირებით, მოსკოვში ყურადღება მიაქციეს.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ მსგავსი გეგმის განხორციელება რუსეთის საზღვართან სტაბილურობასა და უსაფრთხოებას სერიოზულ ზიანს მიაყენებდა. ასევე ნეგატიურად აისახებოდა რუსულ-ქართულ ურთიერთობებზეც, რომლის ნორმალიზაციის პროცესიც ამ დროისთვის მიმდინარეობს.

ამიტომ, თბილისში გაკეთებული განცხადებები, მათ შორის, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ოფიციალურად უარყოფა, ჩვენ მიერ სერიოზულად არის აღქმული“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

– კი, შეგვხვდა... აქაც ისეთი სიტუაცია იყო, ნაცნობობით რომ ხვდებიან ხოლმე შეხვედრებზე. ამ დროს „ბომონდს“ ეძახიან. ჩვენც გვაქვს პროგრამები, ჩვენც გვაქვს იდეები. მე პირადად ვესაუბრე ირაკლი ღარიბაშვილს იმ შეხვედრის შემდეგ, მე თვითონ მივედი, ჩემთვის გამონახა რამდენიმე წუთი. კაცს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ამერიკაში არსებობდა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი. ეს საქმე მე დამავალა კოალიციამ, ამ ადამიანს ხომ უნდა უთხრან, რომ ნიუ-იორკში ასეთი ორგანიზაცია არსებობს? მე ღარიბაშვილთან ერთად სკოლა არ დამიმთავრებია და უნივერსიტეტში ერთად არ გვისწავლია, საიდან უნდა იცოდეს ჩემს შესახებ? როცა ყველაფერი ავუხსენი, მიყურა, მომისმინა და ბოლოს მითხრა, აუცილებლად დაგიკავშირდებითო. კი დაინტერესდა თვითონ, მაგრამ იმის მერე არავინ არ დამკავშირებია. დარწმუნებული ვარ, ირაკლი ღარიბაშვილმა ვიღაცას დაავალა. აქ იყო კიდევ ერთი ჯგუფი არჩევნების პერიოდში, რომელიც შუამდგომლობას გვიწევდა საკონსულოსთან, მაგრამ ესეც დაიშალა. მართალია, მაშინდელი კონსული ხშირად გვემალებოდა, მაგრამ მოადგილე მაინც იყო და პასუხს გვცემდა, ჩვენ მაინც „ვაწვებოდით“. რომ არ მივწოლოდით, დამკვირვებლებსაც არ დაარეგისტრირებდნენ და ყველაფერს წყალში გადაყრიდნენ. საკონსულოს ძირითადი ბირთვი არ შეცვლილა, ისევ ისინი არიან, შეიცვალა მხოლოდ კონსული. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ეს პაატა აბჟანდაძე იყო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ამ კომისიაში კი პრაქტიკულად მისი საახლობლო ტრიალებდა. ის ხალხი, რომელიც ჩვენ საპარლამენტო არჩევნების დროს დავარეგისტრირეთ და ამისთვის დიდი ომი დაგვჭირდა, საპრეზიდენტო არჩევნების დროს სიებში არ აღმოჩნდა. ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობამ“ ისევ გაგვიყალბა. ემიგრანტებმაც დაინახეს, რომ თბილისიდან ყურადღება არ იყო და უბანზე ბევრი არც მოვიდა. მე კოალიციიდან დამავალეს, რომ „ქართული ოცნებისთვის“ მეხელმძღვანელა მთელი ამერიკის მასშტაბით, ოფისები გვქონდა ნიუ-იორკში, ფილადელფიაში, ვაშინგტონში და ვგეგმავდით კალიფორნიაშიც. ეს უკანასკნელი არ გამოვიდა. საპარლამენტო არჩევნების დროს დიდი ძალებით ვმუშაობდით, მაგრამ ეს ყველაფერი გაქრა. საპრეზიდენტო არჩევნების დროს თბილისიდან ერთი ზარი არ შემოსულა, არავინ დაინტერესებულა, ერთი რა ხდება, ცოცხლები ხართ თუ მკვდრებიო?! შეიძლება გიორგი მარგველაშვილი ამერიკაში წაგებამ ვერ დააზარალა, ის მაინც გახდა პრეზიდენტი, მაგრამ აქ უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რა იყო 2012-ში, რა მოხდა 2013-ში და რა მოხდება 2016-ში. თუ ასე გაგრძელდა, ისევ „ნაცმოძრაობა“ მოიგებს.



„იმის გამო, რომ ჩვენ არავის ვაინტერესებთ, უნდა ვისხდეთ და ვუყუროთ ამ სულელს, როგორ დარბის ნიუ-იორკის ქუჩებში? იყო დრო, „ნაციონალებს“ ქუჩაში წესიერად სიარული არ შეეძლოთ, სააკაშვილი კიდევ ჩვენს დანახვაზე კანკალს იწყებდა. ასე დაემართა ზუსტად გაეროში შესვლის წინ, ჩამოხტა მანქანიდან და გაიქცა. ახლა ჩვენ ვართ კუთხეში გაწეულები და ესენი „ბლატაობენ“

**— ამბობენ, რომ დღეს ამერიკაში „ნაცმოძრაობას“ სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია ხელმძღვანელობს, ამის შესახებ იცი რამე?**

– მე თვითონ თემურ ალასანია არ მინახავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობა“ არის ერთ მუშტად შეკრული. მე ვგულისხმობ კონკრეტულად ნიუ-იორკს. ამაში გასაკვირი არაფერია, შაშკინი, იაკობაშვილი და ლომაია დღე და ღამე მუშაობენ. ლამის ყოველკვირეული დღესასწაულები აქვთ. თემურ ალასანია გამოჩნდება თუ არა, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, მთავარია გეგმა და დაფინანსება.

**— ესე იგი, თემურ ალასანია-სააკაშვილის გეგმა უკვე ამუშავებულია?**

– კი, ესენი გეგმებს აწყობენ და არცთუ ისე ცუდად. თუ სადმე ქართული ღონისძიებაა, ყველგან პირველები არიან. ესენი ძალიან ბევრს მოძრაობენ და ეს ხალხზე მოქმედებს, ფიქრობენ, რომ ნაღდად მობრუნდებიან. უნამუსო სააკაშვილი ჩამოდის, მედლებს არიგებს, ამ დროს ჩვენ ვსხედვართ და ვუყურებთ. ესე იგი, რა გამოდის? იმის გამო, რომ ჩვენ არავის ვაინტერესებთ, უნდა ვისხდეთ და ვუყუროთ ამ სულელს, როგორ დარბის ნიუ-იორკის ქუჩებში? იყო დრო, „ნაციონალებს“ ქუჩაში წესიერად სიარული არ შეეძლოთ, სააკაშვილი კიდევ ჩვენს დანახვაზე კანკალს იწყებდა. ასე დაემართა ზუსტად გაეროში შესვლის წინ, ჩამოხტა მანქანიდან და გაიქცა. ახლა ჩვენ ვართ კუთხეში გაწეულები და ესენი „ბლატაობენ“. ცოტა ხანში ესენი ახალ სახეებს შეაგროვებენ, „ნაცმოძრაობა“ საერთოდ არ გამოჩნდება, სტუდენტებზე მუშაობენ, სპორტსმენებზე, სულ სხვა კუთხით აპირებენ რეაბილიტაციას. „ნაციონალებს“ დიდი ფული აქვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ ერთი დღეც ვერ იცხოვრებდნენ. ეს ხალხი არ ცხოვრობს ისეთ უბნებში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ეგენი ძირითადად მანჰეტენზე არიან, სადაც 1-ოთახიანი ბინა რომ იქირაო, სულ მცირე, 4-5 ათასი დოლარი გინდა ყოველთვიურად. მე გეუბნები მანჰეტენის „ისე რა“ ადგილებს, „ნაციონალები“ ცენტრში ცხოვრობენ. ფულს საიდან შოულობენ, ეს უკვე გამოსაძიებელი საკითხია. ლომაიები და სააკაშვილები მოპარული ფულით ცხოვრობენ, მაგრამ აქ სხვა „ნაციონალებზეა“ საუბარი. ალბათ, ესენი უხდიან, აბა, აბჟანდაძემ სად უნდა იშოვოს ფული? ეს ადამიანი შეძლებულია. უკვე მესამედ ვამბობ, ჩვენ ფული არ გვინდა, შეიძლება იქით დავახარჯოთ „ქართულ ოცნებას“, როგორც საპარლამენტო არჩევნების დროს დავახარჯეთ. უბრალოდ, გაგვაგებინონ, რა უნდათ, ბოლოს და ბოლოს, ვჭირდებით? თუ არ ვჭირდებით, გვითხრან და ყველაფრის „დაკიდებას“ წინ რა უდგას? არაფერი, მაგრამ არ დაავიწყდეთ, რომ 2016 წელი ახლოვდება და არჩევნებია...



„ეს ხალხი არ ცხოვრობს ისეთ უბნებში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ეგენი ძირითადად მანჰეტენზე არიან, სადაც 1-ოთახიანი ბინა რომ იქირაო, სულ მცირე, 4-5 ათასი დოლარი გინდა ყოველთვიურად. მე გეუბნები მანჰეტენის „ისე რა“ ადგილებს, „ნაციონალები“ ცენტრში ცხოვრობენ. ფულს საიდან შოულობენ, ეს უკვე გამოსაძიებელი საკითხია. ლომაიები და სააკაშვილები მოპარული ფულით ცხოვრობენ, მაგრამ აქ სხვა „ნაციონალებზეა“ საუბარი“

**„ალია“ შეეცადა, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრებს დაკავშირებოდა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, უმეტესობას ან გათიშული აქვს ტელეფონი, ან კიდევ ასეთ მესიჯს აგზავნის: „ია ნე მაგუ სეიჩას გავარიც“. სხვათა შორის, ასეთი ავტომატური სისტემა საპარლამენტო უმრავლესობის თითქმის ყველა წევრს უყენია ტელეფონზე. რა ვიცი, მერე რუსეთუმეს რომ დაგიძახებენ, უნდა გეწყინოს? ერთი კვირის წინ უმრავლესობის წევრმა, დათო ლორთქიფანიძემ „ალიასთან“ ინტერვიუში განაცხადა, ჩვენ მოვილაპარაკეთ და ამიერიდან თვეში ერთხელ პარტიის თავმჯდომარეს, ირაკლი ღარიბაშვილს შევხვდებითო. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამერიკაში მცხოვრებ ქართველებზე „ქართულ ოცნებაში“ და შეიძლება თუ არა, ეს საკითხი განხილვის საგანი გახდეს პრემიერთან შეხვედრისას? ამ შეკითხვებზე დათო ლორთქიფანიძე გვპასუხობს:**

**„ორი აზრი არ არსებობს, ამერიკაში პრემიერი ჩავა თუ პრეზიდენტი, მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ, ნორმალურად გამართონ შეხვედრები და ასეთი გამოხტომები აღიკვეთოს. დღეს ყველას აქვს უფლება, ქუჩაში გამოვიდეს, მით უმეტეს, ნიუ იორკში და თავისი აზრი გამოხატოს, მაგრამ ასეთი პროვოკაცია აუტანელია. უახლოეს დღეებში დაგეგმილი გვაქვს ფრაქციის სხდომა, მე პირადად გპირდებით, რომ ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებ და როგორც კი პრემიერ-მინისტრს შევხვდებით, იქაც ვილაპარაკებ. ჩვენ ემიგრანტებით მხოლოდ არჩევნების პერიოდში კი არ უნდა ვინტერესდებოდეთ, არამედ ყოველდღე. ამ კუთხით, ალბათ, დიასპორის სამინისტრომ უფრო მეტი უნდა იმუშაოს“.**


გელა ზედელაშვილი

555 48-48-61


ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ეს უტვინობა ხელისუფლებას ბუმერანგივით შეუბრუნდება“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მიიჩნევენ, რომ „თავისუფალი ზონის“ წინააღმდეგ მიმდინარე აქცია ხელისუფლებისგან მართული იყო.

დავით დარჩიაშვილის თქმით:

„რამდენიმე დღეა, პროვოკაციების ახალი ტალღა აქვთ. არის ზეწოლის მცდელობები ოპოზიციაზე და განსხვავებული აზროვნების ადამიანებზე. ამ შემთხვევაში ზეწოლა მიმდინარეობს „თავისუფალ ზონაზე“. ეს ყველაფერი წინასწარ დაგეგმილია, ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც კარგად. ეს ძალიან სარისკოა ჩვენი ქვეყნისთვის. ამ ყველაფერში ისეთი პიროვნებები ფიგურირებენ, რომლებსაც რუსულ სამსახურებთან ჰქონდათ მჭიდრო თანამშრომლობა. ეს არის დიდი უტვინობა, რომელიც მათ ბუმერანგივით შეუბრუნდებათ“, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

თანაგუნდელის მოსაზრებას ეთანხმება ნიკა მელიაც:

„სამწუხაროდ, ის ყველაფერი, რაც მოხდა, არის მართული პროცესი ხელისუფლების მეცადინეობით. ხელისუფლებამ შექმნა ძალადობრივი ჯგუფები. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას არ სურს სამოქალაქო მშვიდობა, მას სურს დესტაბილიზაცია. იმის მაგივრად, რომ პროცესების ნორმალიზებას შეუწყოს ხელი, ის ახალისებს დაპირისპირებას. მე მოუწოდებ მათ, გონს მოეგონ. იმედია, გაათვითცნობიერებენ, რომ ისინი არიან ხელისუფლებაში. ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც არის „ნაციონალური მოძრაობის“ ოპოზიცია. ასეთ სიტუაციაში მსგავს აქციებს ადგილი ექნება, რაც დაანგრევს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობას. ეს არ არის ცალკეული ჯგუფების პროტესტის გამოხატვა. ეს არის მართული პროცესი ხელისუფლების მხრიდან. ხელისუფლება იმართება ერთი ადამიანის მხრიდან. არის მცდელობა, რომ ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს დემოკრატიის კონსოლიდაცია, ხდება ძალაუფლების კონსოლიდაცია. ეს ყველაფერი ხდება ოლიგარქიული წყობილების დამკვიდრების სტილში“, – აცხადებს მელია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ავტობუსები გაზზე — მოხდება თუ არა დედაქალაქში ტრანსპორტის ჩანაცვლება



ჩაანაცვლებს თუ არა ყვითელ ავტობუსებს ქართული წარმოების ავტობუსები? კომპანია „აი-სი ჯგუფი“ საკრებულოს ახალი ინიციატივით მიმართავს. აღნიშნული შპს თბილისში ავტოპარკის განახლებასა და ელექტროავტობუსების გამოსაშვებად ქარხნის გახსნას აპირებს. საწარმოს ასამუშავებლად შპს გლდანში რადიოქარხნის ტერიტორიის გამოყოფას ითხოვს.

ელექტროავტობუსების გამოშვებამდე კი კომპანია დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანოს სთავაზობს, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი გაზზე გადაიყვანონ.

„თბილისის პერსპექტივა და მომავალი არის ელექტროავტობუსი, მაგრამ ელექტროავტობუსებზე გადასვლას აქვს თავისი სპეციალური ტექნოლოგიური რეჟიმები, ამას უნდა მომზადება და აი, ამ მომზადებისთვის, საჭიროა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, მათ შორის სასწრაფოდ პარკის ცოტა გადახალისება, რომელიც დღეს არსებობს, ხოლო ამ პარკის გადახალისებისთვის ყველაზე მისაღები ფორმა არის ავტობუსები გაზზე“, – განაცხადა „აისი გრუპის“ წარმომადგენელმა ავთანდილ საყვარელიძემ. (ნიუპოსტი)

# რა ჩვენება მისცა ტრისტან წითელაშვილმა შსს-ს უკრაინიდან ჩამოყვანილ „ზონდერებზე“?

**ყოფილმა პოლიტპატიმარმა, ტრისტან წითელაშვილმა „თავისუფალი ზონის“ ოფისთან მიმდინარე აქციაზე განაცხადა: მაქვს უტყუარი დოკუმენტები, ვადგენდით იმ პირებს, თუ ვინ არიან, ვინც სააკაშვილს უკრაინაში დაჰყავდა, რომ მერე ისეთ პროცესებში გამოეყენებინა ისინი, რაც დღეს ხდებაო.**

„ალიას“ **ტრისტან წითელაშვილი** ესაუბრა:

**— ბატონო ტრისტან, რა უტყუარი დოკუმენტები გაქვთ?**





– დიდი ხნით ადრე დაიწყო მზადება საქართველოში დესტაბილიზაციის განსახორციელებლად. ამ შტაბის ხელმძღვანელები არიან გივი თარგამაძე, კობა ხაბაზი, ნუგზარ წიკლაური, გიორგი ვაშაძე, გიგა ბოკერია და გიორგი ონიანი. ამ შტაბმა დაიწყო მუშაობა და მიმართულებები აიღეს იმის მიხედვით, ვინ რომელში იყო ძლიერი, რომ იმ მიმართულებით მოეხდინათ პროვოკაციები. პირველი და ამოსავალი იყო შეიარაღებული პროვოკაციები. ეს დაევალა მამუკა მამულაშვილს, ის ბაჩო ახალაიას მრჩეველი იყო, მისი თავდაცვის მინისტრობისას. სწორედ ამ ადამიანმა გაუკეთა სრული მობილიზება ხალხს და ჩაიყვანა უკრაინაში მოსამზადებლად. ისინი გადანაწილდნენ სხვადასხვა მიმართულებით, გაიარეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მომზადება. გარკვეული ტიპის საბრძოლო მოქმედებებშიც მიიღეს მონაწილეობა, უფრო შესისხლხორცდნენ იარაღთან. მშვენივრად გაიწვრთნენ საბრძოლო ოპერაციებში, როგორ უნდა ჩაატარონ სხვადასხვა ტიპის ოპერაციები და როგორ მოაწყონ იმ ადამიანების ლიკვიდაცია, რომელთა სახელები და გვარებიც გადაეცემოდა ამ ჯგუფს.

**— გინდათ თქვათ, რომ მკვლელობები იგეგმებოდა და სია არსებობს?**

– დიახ, სწორედ ამას ვამბობ. ამის დოკუმენტური ინფორმაცია მაქვს და გარწმუნებთ, არც ერთ სიტყვას არ ვამბობ, სრული დარწმუნების გარეშე. ყველა აუცილებელ დოკუმენტს გადავცემ შესაბამის ორგანოებს. ეს ჯგუფები, რომლებიც უკრაინაში გაიწვრთნენ, ეტაპობრივად ჩამოდიან საქართველოში. როცა ისინი ჩამოდიან, მათ ხვდებიან შტაბის წევრები და სასწრაფო წესით აცნობენ სიტუაციას.

**— ამის შესახებ შსს გააფრთხილეთ?**

– ამის შესახებ ჯერ ღიად განვაცხადე ეთერში, შემდეგ მივედი და განვაცხადე პოლიციაში, მივეცი ჩვენება. ახლა მაქსიმალურად უნდა დაწესდეს ამ ადამიანებზე თვალთვალი და უნდა მოხდეს მათი განეიტრალება, თორემ ეს ყველაფერი გადავა სისხლისღვრაში, ამაში დარწმუნებული ვარ. სწორედ ის პროცესები დაიწყო, ადრე რომ თქვენს გაზეთში ვაანონსებდი და ზოგს ზღაპარი ეგონა. კერები იქმნებოდა ქვეყანაში და უკვე გაღვივებას იწყებს. სასწრაფოდ უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ, რომ ამ ხალხის იზოლაცია მოახდინოს.

**— პირად საუბარში მითხარით, სტუდენტების დარბევა იგეგმებოდაო. სად, რომელ სასწავლებელში?**

– დიახ, ასეთი სცენარი არსებობდა. ისინი აპირებდნენ სტუდენტებთან შეჭრას სასწავლებლებში, იქ აპირებდნენ ვილაცების შეგზავნას, რომ მოეწყოთ პროვოკაციები, ეს ჩვენ ვიცოდით და იმიტომ ჩავერთეთ ამ პროცესებში, რომ თავიდან აგვერიდებინა.

**— კი, მაგრამ ამდენი უმაღლესი სასწავლებელია ყველგან, როგორ აირიდეთ თავიდან ეს პროვოკაციები, კონკრეტულად იცოდით, სად გეგმავდნენ?**

– ამის შესახებ არ დავკონკრეტდები, რადგან არის ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც მოდის ჩვენთან და როცა გავიგებთ ხოლმე, ისე ალვკვეთთ, ამის შესახებ მხოლოდ შემდგომ ვსაუბრობთ. არც წინასწარ არ ვაკონკრეტებ ბევრ დეტალს, რადგან მათ აქვთ რამდენიმე სცენარი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია და თუ ისინი გავახმაურეთ, ვეჭვობ, გეგმები შეცვალონ და ჩვენ ვერ მივადევნებთ თვალს, რას ცვლიან და როგორ.

**— როგორც მითხრეს, საელჩოს წარმომადგენლები აკვირდებოდნენ აქციას, რა უნდოდათ, რა აინტერესებთ?**

– როცა ეს პროცესები დაიწყო და დავინახეთ, რომ დასავლეთი სააკაშვილს ისევ უჭერს მხარს, დღესაც ჰყავს ლობისტები და ის დემოკრატიის შუქურად საღდება ისევ, ამიტომ მივმართეთ საერთაშორისო საზოგადოებას, დაკვირვებოდნენ პროცესებს, აქციებს. საერთაშორისო ჩართულობა გვინდოდა, რომ ისინი დარწმუნებულიყვნენ, რა დანაშაული ჩაიდინა და სჩადის სააკაშვილის გარემოცვა. ამიტომ არის, რომ ხვალ და ზეგ გამოჩნდებიან სხვა ქვეყნების საელჩოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელიც ჩვენი მოთხოვნის შედეგად ჩაერთვნენ ამ პროცესებში. მათ უნდა ნახონ, რომ ჩვენ კი არ ვაწყობთ პროვოკაციას, ისინი გადმოდიან შეტევაზე.

**— გვარები ვერ დავადგინე, მაგრამ აქციიდან ასეთი ხმაც მომივიდა, რომ არაერთი ყოფილი პოლიტპატიმარი, რომლებიც „ნაციონალების“ საწინააღმდეგო აქციებზე მუდმივად მიდიოდნენ, „თავისუფალ ზონასთან“ არ გამოჩენილან, რადგან სამართლიანობის აღდგენის ლოდინი მობეზრდათ და „ნაციონალებმა“ ფული გადაუხადეს, რომ „გვერდზე გაწეულიყვნენო“. ამის შესახებ იცით რამე?**

– სახელებსა და გვარებს ვერც მე დავასახელებ, რადგან არ მაქვს კონკრეტული მტკიცებულება, ვინ შეეძლოთ მოესყიდათ მათ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ ჩემ მიმართ იყო მცდელობა, სანამ დავიწყებდი აქტიურობას. მათი წარმომადგენელი იყო მოსული, საკმაოდ სერიოზული ფიგურა იყო, მან შემომთავაზა სოლიდური თანხა, რომ ვყოფილიყავი ჩუმად. არ გამოვრიცხავ, სხვისთვისაც შეეთავაზებინათ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




## ხარშილაძისა და ძაძამიას საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებული საქმის ფარგლებში, ბრალდებული კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას საქმე განსახილველად ნაფიც მსაჯულებს გადაეცათ.

წინასასამართლო სხდომაზე, ორივე ბრალდებულმა, საქმის ნაფიცი მსაჯულების პირობებში განხილვის სურვილი თავად გამოთქვა. მსაჯულთა შერჩევის პროცესი 22 ოქტომბერს ჩაინიშნა. (ნიუპოსტი)

## კალაძე ევროპელ მეგობრებს ყოფილი მაღალჩინოსნების პროცესზე დასაკვირვებლად ეპატიჟება



სტრასბურგში მიღებულ რეზოლუციას ვიცე-პრემიერი კახი კალაძე ეხმაურება:

„ჩვენს ევროპელ მეგობრებს აქვთ საშუალება, ჩამობრძანდნენ და დააკვირდნენ, როგორ მიმდინარეობს ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესები. ყოფილ მაღალჩინოსნებს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის წინაშე კონკრეტული დანაშაულები აქვთ ჩადენილი. იმ კითხვებზე, რომელიც არის საზოგადოებაში ამ საქმეებთან დაკავშირებით, პასუხი უნდა იყოს გაცემული“, – განაცხადა კალაძემ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს შესახებ ანგარიში მიიღო. დოკუმენტში პოლიტიკური დევნის, ბაჩო ახალაიასთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, ასევე, მიხეილ სააკაშვილის სამართლებრივი დევნისა და მისი ქონების დაყადაღების საკითხი მოხვდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რეზოლუციაში შეტანილი ჩანაწერი ახალაიასა და სააკაშვილზე საგანგაშო არ არის“



ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა შეაფასა:

„ეს არის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია, აქ ძირითადად გამოხატულია პარტიების აზრი. მოგეხსენებათ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არის ევროპის სახალხო პარტიის წევრი და ევროსაბჭომ გამოხატა სოლიდარობა იმ საკითხებისადმი, რომელიც დააყენა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, აქ აჟიოტაჟის ატეხის მიზეზი არ არსებობს. რეზოლუციის ძირითად ტექსტში საუბარია პოზიტივებზე, თუ მიაჩნია „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ ის ჩანაწერი, რომელიც გაკეთდა ახალაიასა და სააკაშვილის თაობაზე, საგანგაშოა, ეს მე არ მიმაჩნია საგანგაშოდ.

ეს არის კიდევ ერთი მცდელობა, რომ ებრძოლოს საკუთარ სახელმწიფოს, საკუთარ მოსახლეობას. ეს არის იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელსაც წლების განმავლობაში ახორციელებდა, აქ ახალი არაფერი არ არის“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

# ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია საქართველოს შესახებ

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალურ გვერდზე საქართველოს შესახებ ასამბლეის მიერ დამტკიცებული რეზოლუცია გამოქვეყნდა.

„ასამბლეა მიესალმება 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას. მიუხედავად პოლარიზებული და დაძაბული საარჩევნო გარემოსი, დემოკრატიული და ევროპული სტანდარტების შესაბამისი იყო. ქვეყნის უახლეს ისტორიაში პირველად საქართველოში ამ არჩევნებმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური ძალაუფლება დემოკრატიული გზით შეიცვალა. ეს მიღწევა ყველა პოლიტიკურ ძალას უნდა მივულოცოთ და ეს უნდა იყოს მაგალითი მთელი რეგიონისთვის.



ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადაბარებას თან სდევდა პოლარიზებული და ანტაგონისტური პოლიტიკური კლიმატი. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და კოალიცია „ქართული ოცნების: მთავრობის კოჰაბიტაციის პერიოდში. ვწუხვართ იმის გამო, რომ გარკვეულ შემთხვევებში ეს დაძაბულობა ბევრ პოზიტიურ ცვლილებას ჩრდილავდა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ათასობით მათ აქტივისტსა და მხარდამჭერს რეგულარულად კითხავდნენ და დაშინების მეთოდსაც იყენებდნენ. მთავარი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებზე კი, მათ შორის პარლამენტის წევრებზე, განხორციელდა ძალადობრივი თავდასხმა.

აღსანიშნავია, რომ ორწლიანი მმართველობის შემდეგ, ყოფილი ხელისუფლების თითქმის ყველა მაღალჩინოსანი დაკავებულია, წაყენებული აქვთ ბრალდებები ან მათ წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს. დაკავებულნი არიან საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია და თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა. დაუსწრებლად წაუყენეს ბრალი და წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავიდ კეზერაშვილსა და იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს.

ძლიერი და გამოცდილი ოპოზიციის გამოჩენამ, კარგად ორგანიზებულ მმართველ კოალიციასთან ერთად გააძლიერა პარლამენტისა და პარლამენტარიზმის როლი საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში. მეტიც, ბევრ შემთხვევაში პარლამენტმა მიაღწია კონსენსუსს ძირითადი პოლიტიკური გამოწვევების გადაჭრისას. ასამბლეა მიიჩნევს, რომ ეს არის მნიშვნელოვანი განვითარება და ქვეყანაში პოლიტიკური გარემოს ძირითადი ევოლუცია.

ასამბლეა მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, შეთანხმდნენ საარჩევნო სისტემაზე, რომელიც დაემყარება ფართო კონსენსუსს და, რომელიც გააძლიერებს ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუციების პლურალისტურ ხასიათს. მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას, განხილულ იყოს ყველა პროპორციულ-რეგიონული საარჩევნო სისტემა, ღია სიების საფუძველზე, რომელზეც შეთანხმდება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ძალების უმეტესობა. ასამბლეა მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, თავი შეიკავოს ცვლილებების განხორციელებისგან სადავო ან განხეთქილების ენით, ან იმ მეთოდით, რაც დაარღვევს ქვეყანაში ნებისმიერი უმცირესობის უფლებებს

მივესალმებით კონსტიტუციური რეფორმებისთვის სახელმწიფო კომისიის შექმნას და რეკომენდაციას უწევს, რომ კონსტიტუციური რეფორმების სახელმწიფო კომისიამ მჭიდროდ ითანამშრომლოს ვენეციის კომისიასთან საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

ასამბლეა კიდევ ერთხელ ახსენებს საკუთარ შეშფოთებას საქართველოში მართლმსაჯულებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მივესალმებით ყოვლისმომცველი რეფორმების პაკეტის მიღებას სასამართლო და მართლმსაჯულების სისტემისთვის, რომლის მიზანიც სასამართლო სისტემის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაა. მივესალმებით ნიშნებს, რომ სასამართლო ახლა უფრო დამოუკიდებლად მუშაობს. თუმცა, აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სენსიტიური სასამართლო საქმის სამართალწარმოებისას, მათ შორის ხელისუფლების ყოფილი წევრების, გამოვლინდა ხარვეზები, რომელიც უნდა გადაიჭრას. წუხილით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პარლამენტმა ვერ მიაღწია კონსენსუსს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ექვსი წევრის არჩევანისას. ამიტომ საჭიროა სასამართლო სისტემის, მათ შორის პროკურატურის შემდგომი რეფორმების გატარება.

ასამბლეა მოუწოდებს პარლამენტს, შესამჩნევად შეამციროს სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდი მოსამართლეებისთვის, რომლებიც უვადოდ უნდა დაინიშნონ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ევროპული სტანდარტები. ასამბლეა ასევე მოუწოდებს პარლამენტს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონში ცვლილებების შეტანისკენ ასეთი დანაშაულებისთვის შესაძლო თავისუფლების აღკვეთის აცილების მიზნით.

ასამბლეა შეშფოთებას გამოხატავს საქართველოში წინასწარი პატიმრობის ფართოდ გამოყენებასთან დაკავშირებით. ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს, როგორც უკიდურესი ზომა, როდესაც არსებობს აშკარა მიმალვის, მართლმსაჯულების საქმიანობაში ჩარევის მცდელობა ან სერიოზული რისკი, რომ პიროვნება ჩაიდენს სერიოზულ დანაშაულს ან საფრთხეს უქმნის საზოგადოების წესრიგს და ეს არ უნდა იქნას გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის. ასამბლეა მოუწოდებს ხელისუფლებას, მიიღოს მკაფიო ინსტრუქციები პროკურატურასა და სასამართლოებისთვის, რათა უზრუნველყოს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნების სრული დაცვა და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებთან სრული თავსებადობა წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ასამბლეა გამოხატავს შეშფოთებას ოპოზიციონერებისა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ოჯახის წევრების საკუთრების დაყადაღების ფართო გამოყენებასთან დაკავშირებით ისეთი სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებიც არ შეიცავს ბრალდებებს უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, სრულად განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულება მოწმეთა ჩვენებებისა და ნაფიც მსაჯულთა შესახებ“, – ნათქვამია რეზოლუციაში. (ნიუპოსტი)



## საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები



შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს:

2014 წლის სექტემბერი 501 761 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 2%-ით ნაკლებია.

რაც შეეხება იანვარ-სექტემბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 187 595 ვიზიტი განხორციელდა, რაც 2%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს.

ამასთანავე, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი – 1 760 748 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 42%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 10%);

ბ) ტრანზიტი – 827 805 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 19,8%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -8%);

გ) სხვა – 1 599 042 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,2%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 0,4%).

2014 წლის სექტემბერში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-6%), აზერბაიჯანიდან (+13,8%), სომხეთიდან (+2%), რუსეთიდან (+0,05%) და უკრაინიდან (+1,3%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-სექტემბერშიც კვლავ ტრადიციულად გამოირჩნენ: ლიტვა, პოლონეთი, ლატვია და ნიდერლანდები (შესაბამისად, 81%, 36%, 23% და 12%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (38%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ბელორუსის მოქალაქეები 49% მატებით. (ნიუპოსტი)

## რატომ გამოჩნდა მელორ ვაჩნაძე „თავისუფალი ზონის“ ოფისთან დაგეგმილ აქციაზე



„თავისუფალი ზონის“ ოფისთან დაგეგმილ აქციაზე მელორ ვაჩნაძეც მივიდა. როგორც მან განაცხადა, ის მეგობრებთან ერთად „თავისუფალი ზონის“ მიერ ჟურნალისტის ცემის ფაქტს აპროტესტებს.

„სოციალურ ქსელში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროტესტის ნიშნად შევკრებილიყავით და გამოგვეხატა ჩვენი პროტესტი მშვიდობიანი ფორმით. ნაცემია ზაზა დავითაია და ახალგაზრდული ორგანიზაციის რამდენიმე წარმომადგენელი. ე.წ. „თავისუფალი ზონა“, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტია, გადავიდა ძალისმიერ მეთოდზე და სწორედ ამას გავაპროტესტებთ. ჩვენ გვინდა აღიკვეთოს „თავისუფალი ზონისა“ და მსგავსი სატელიტი ორგანიზაციების თავხედობა საქართველოში. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რომ მსგავს შემთხვევაში დამნაშავეები კანონის სრული სიმკაცრით დაისაჯონ. – აცხადებს მელორ ვაჩნაძე. (ნიუპოსტი)



## მსოფლიომ საქართველო ახლიდან აღმოაჩინა



გავლენიანი ბრიტანული გამოცემა ფინანციალ თიმეს საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს. ჟურნალისტი კახეთში, ალავერდის სამონასტრო კომპლექსში მდებარე მარანს აღწერს.

„საიდუმლო რიტუალები: მე-6 საუკუნის ალავერდის მონასტერი, რომელიც ქართული ღვინის ინდუსტრიის აღორძინების სარკმელს წარმოადგენს. მონასტრის გარშემო ვენახებია გაშენებული... ალაზნის ველზე მდებარე ალავერდის მონასტერი მთელ ქვეყანაში უძველესი მოქმედი მარნით ამაყობს, რომელიც მე-11 საუკუნისაა. თბილისიდან ავტომობილით ალავერდამდე 2 საათზე ნაკლებია სავალი. მონასტერი კახეთის რეგიონში მდებარეობს, რომელიც ტყიანი მთებითა და მდელოებითაა გარშემორტყმული. რეგიონი რუსეთსა და აზერბაიჯანს ესაზღვრება. ქართული ღვინო – სწორედ კახეთში მზადდება...“

გამოცემის ინფორმაციით, ქართული ღვინო ევროპის, ჩინეთის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ბაზრებზეა წარმოდგენილი.

„...მსოფლიომ საქართველო ახლიდან აღმოაჩინა, როგორც ღვინის მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყანა. საერთაშორისო საზოგადოება მხარს უჭერს საქართველოს ამბიციებს, რომ დაიმკვიდროს თავი, როგორც ღვინის სამშობლომ. საქართველოში, სოფელ შულავერთან აღმოჩენილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6 ათასი წლით დათარიღებული ღვინის კერამიკული ჭურჭელი, რომელზეც ვაზია გამოსახული. ქართული ვაზის 525 ჯიშია შენარჩუნებული, აბისტაჯიდან დაწყებული ზერდაგით დასრულებული. ღვინის მოყვარულებსა და ტურისტებს განსაკუთრებით აღაფრთოვანებთ მშრალი თეთრი რქაწითელი და მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი წითელი საფერავი“. (ნიუპოსტი)

## „ახალაია წინასწარ პატიმრობაში კანონიერად იმყოფება“



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი სტრასბურგში მიღებული რეზოლუციის იმ ნაწილს ეხმაურება, სადაც თავდაცვის ყოფილ მინისტრზე ბაჩო ახალაიაზეა საუბარი.

„ამჟამად ბაჩო ახალაია წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, ივნისიდან, სერგო თეთრაძის საქმეზე. ხოლო ივნისიდან დღემდე ცხრათვიანი ვადა არ არის გასული. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არც ერთ მიმდინარე საქმეზე ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ კონსტიტუციური, 9-თვიანი ვადა არ არის დარღვეული, რადგან ჩვენი კანონი ყოველ ახალ საქმეზე ამ ვადის ათვლას თავიდან ითვალისწინებს. ამიტომაც კანონი დაცულია. თუ ევროსაბჭოში ჩვენი მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელი პარლამენტარები თვლიან, რომ თვითონ კანონია უხარისხო და შესაცვლელია, იუსტიციის სამინისტრო მზად არის, ეს კანონი შეცვალოს. მაგრამ დღეს ჩვენი კანონი არ არის დარღვეული და ბაჩო ახალაია აბსოლუტურად კანონიერად იმყოფება წინასწარ პატიმრობაში და შესაბამისად, იმ ციხეში, სადაც ის არის“, – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

# როგორ აპირებს ჯანდაცვა ძვირი წამლების გაიაფებას?


ზაზა სოფრომაძე

**ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ზაზა სოფრომაძის განცხადებით, 2015 წლიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება გაიზრდება.**

**მისი თქმით, „ზრდა იქნება როგორც სოციალური პროგრამების, ისე ჯანდაცვის მიმართულებითაც. ჯანდაცვის პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობისთვის და ამ მხრივ რაიმე შეფერხება 2015 წლის ბიუჯეტის მიხედვით არ გვექნება“.**

**რა კონკრეტულ მიმართულებებზე დაიხარჯება ეს თანხა და იგრძნობს თუ არა თითოეული მოქალაქე საკუთარ თავზე ჯანდაცვის ბიუჯეტის ზრდას?**

„ალიას“ **ზაზა სოფრომაძე** ესაუბრა:

**— ბატონო ზაზა, რა კონკრეტულ ჯგუფებს გაეზრდებათ დაფინანსება?**

– ბუნებრივია, ჯერ ყველაფერი ბოლომდე დამტკიცებული არ არის, მაგრამ ეს იქნება საყოველთაო ჯანდაცვის მიმართულებით. დაფინანსება გაეზრდება ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის, ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამებს, ასევე პირველადი ჯანდაცვის პროგრამას, სოფლის ექიმის პროგრამას, რაც შეეხება სოციალურ სფეროს, აქაც ხელისუფლების სტრატეგიაა, რომ 2015-2016 წელს სოციალური გასაცემლები გაიცეს, ეს ეხება როგორც საპენსიო ნაწილს, ისე მიზნობრივი დახმარებების გაცემას. ზუსტად როდის იქნება, ამას ახლა ვერ გეტყვით, ამ ეტაპზე მიჭირს. მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს იქნება 2015-2016 წლებში. ეს მას შემდეგ დაზუსტდება, როცა პარლამენტში დასრულდება განხილვები. ბიუჯეტის ზრდა უშუალოდ აისახება პროგრამებზე. ის შეეხება უშუალოდ ადამიანის ჯანმრთელობას და უშუალოდ იგრძნობს მოსახლეობა, აისახება მის სოციალურ სტატუსზე.

**— მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც უმწეოთა კატეგორიაში არ არის, ჩივის, რომ წამლები ძვირია და მათ შეძენას ვერ ახერხებენ. ამ კატეგორიის ადამიანებისთვის რამე შეღავათები იგეგმება? ანუ უფასო წამლების, ან წამლების თანადაფინანსების პროგრამაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

– გრძელვადიან გეგმაში ეს გათვალისწინებულია და ბიუჯეტშიც იქნება გათვალისწინებული, მაგრამ ზუსტ თარიღს ახლა ვერ გეტყვით, მუშაობის პროცესი მიდის და თვის ბოლომდე ამ საკითხში ჩამოვყალიბდებით.

**— იცით, მოსახლეობაში რა განწყობაა? კი გაიზრდება ეს ჯანდაცვის ბიუჯეტი, მაგრამ ჩვენ რა, ისევ ხელფასებს გაიზრდიან და პრემიებს დაირიგებენო.**

– შემიძლია ცალსახად გითხრათ, რომ დღეისთვის ხელფასებისა და პრემიების არანაირი ზრდა არაა დაგეგმილი, თუ ქვეყანაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ მოიმატებს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენ მიერ ეს დაგეგმილი არ არის. მეტიც, ჩვენ ვფიქრობთ საორგანიზაციო ხარჯების მთლიან ოპტიმიზაციას, ეს მატება აისახება უშუალოდ პროგრამულ ნაწილში.

**— ძვირადღირებულ ოპერაციებს სახელმწიფო კი აფინანსებს მას, მაგრამ იმ 30%-ის გადახდაც ძალიან უჭირს მოსახლეობას, რადგან ეს 30% ხშირად 1000 ლარს აჭარბებს. ამ მიმართულებით ცვლილებები ხომ არ იგეგმება?**

– ამისთვის არსებობს რეფერალური დახმარების პროგრამა. ამ დახმარებასაც თავისი წესები აქვს, ამიტომ ამ წესიდან გადახრა სამინისტროს არ შეუძლია. მთელ რიგ შემთხვევებში, გეთანხმებით, რომ მოსაძიებელია ალტერნატიული დაფინანსების სხვა წყაროები. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა იაქტიურონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, ამას დღეს ახერხებს ბევრი მუნიციპალიტეტი. შესაბამისი რესურსები ბიუჯეტში ჩადებული აქვს დედაქალაქის მერიასაც, როგორც მე ვიცი. მე ვფიქრობ, უნდა გამოიძებნოს სხვა წყაროებიც. ვგულისხმობ იმას, რომ შექმნილია სოლიდარობის ფონდი, რომელიც სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს მკურნალობს. მსგავსი რამ არის მოსაფიქრებელი.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რაც მთელ მოსახლეობას შეეხო, ეს არის საყოველთაო დაზღვევის პროგრამა. ხელისუფლებას ამით მართლაც შეუძლია, იამაყოს. დეტალურად მართლა არ განისაზღვრა, როგორ გაიწერება ეს თანხა პროგრამებში, ჯანდაცვა ხომ იცით, როგორი სფეროა? ამოუვსებელი ჭაა და არასდროს არაა საკმარისი თანხა, სრულად რომ იყოს უზრუნველყოფილი ყველა ადამიანი. ამიტომ მუშაობის პროცესში გამოჩნდება დეტალურად ყველაფერი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პროკურატურა ზურაბ კიწმარიშვილს დაზარალებული უფლებამონაცვლედ ვერ ცნობს



საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ზურაბ კიწმარიშვილის შუამდგომლობა, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ არ დააკმაყოფილა. აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურა ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს:

„2014 წლის 29 სექტემბერს, თბილისის პროკურატურას მიმართა ეროსი კიწმარიშვილის ძმამ ზურაბ კიწმარიშვილმა შუამდგომლობით დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობისა და საქმის მასალების გაცნობის შესახებ.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ პირის ცნობის ორ წინაპირობას: 1) ახლო ნათესაური კავშირი გარდაცვლილთან და 2) გარდაცვლილის მიმართ მესამე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას. შესაბამისად, პირის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობისთვის აუცილებელია დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადგენა, რის გარეშეც კანონი პირის დაზარალებულად ცნობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

გამოძიების ამ ეტაპზე საქმეზე მოპოვებული ასეულობით მოწმეთა ჩვენებებზე, დოკუმენტაციაზე, ვიდეოჩანაწერებზე, ნივთიერ მტკიცებულებებსა და ექსპერტიზის ათეულობით დასკვნაზე დაყრდნობით არ არის გამოკვეთილი რაიმე გარემოება, რაც მოგვცემდა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალება გამოწვეულია სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედებით. შესაბამისად, ამ ეტაპისთვის არ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველი ზურაბ კიწმარიშვილის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობისთვის, რის გამოც მისი მოთხოვნა ამ ნაწილში ვერ დაკმაყოფილდება. აღნიშნული კანონით დადგენილ ვადაში განემარტა გარდაცვლილის ძმას ზურაბ კიწმარიშვილს.

ამასთანავე, პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით ეროსი კიწმარიშვილის ოჯახისა და საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით და გამოძიების მიმდინარეობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, პროკურატურამ გამოიჩინა კეთილი ნება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ე. კიწმარიშვილის ძმას, ზურაბ კიწმარიშვილს მიეცეს საქმის მასალების სრულად გაცნობის შესაძლებლობა, რითაც მისთვის, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილი იქნება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაზარალებულის უფლებები. საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა ექნებათ ასევე ზურაბ კიწმარიშვილის ადვოკატს და ასევე მის მიერ მოწვეულ დამოუკიდებელ ექსპერტებს.

აქვე გვსურს განვმარტოთ, რომ საქართველოს პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას ე. კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე და გეგმავს საქმეზე მიმდინარე ყველა ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, უახლოეს მომავალში მოახდინოს საქმის მასალებისა და გამოძიების შედეგების გასაჯაროება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „კრწანისის“ საგუშაგოზე ჯარისკაცი გარდაცვლილი იპოვეს



საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ საგუშაგოზე, წვევამდელი დავით ბოლოთაური გარდაცვლილი იპოვეს.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით:

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წვევამდელი დავით ხვიჩას ძე ბოლოთაურის დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. რიგითი დავით ბოლოთაური სამხედრო ნაწილის ცვლის უფროსმა საგუშაგოზე გარდაცვლილი იპოვა. მას ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული. გამოძიება დაწყებულია, საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით – თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი მთავარი პროკურატურის უშუალო ზედამხედველობით აწარმოებს. 1996 წელს დაბადებული დავით ბოლოთაური საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2014 წლის 3 სექტემბრიდან ირიცხებოდა. ის საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ პროცესების მხარდაჭერის ასეულში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა. თავდაცვის სამინისტრო სრულად დაფარავს წვევამდელის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## უნდა შესულიყო თუ არა რეზოლუციის ტექსტში მაღალჩინოსნების სახელები და გვარები



უნდა შესულიყო თუ არა რეზოლუციის ტექსტში გარკვეული პუნქტები, მათ შორის ყოფილი მაღალჩინოსნების სახელები და გვარები. ამ თემაზე ევროსაბჭოში აზრთა სხვადასხვაობაა.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ კრიტიკული შენიშვნებისა და შესწორებების ძირითადი ნაწილი შეთავაზებული იყო „ნაციონალური მოძრაობისა“ და მათი მხარდამჭერი პარტიის – „ევროპის სახალხო პარტიის“ მიერ. ეკა ბესელიას განცხადებით:

„როდესაც დაემატა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისა და სახალხო პარტიის მხარდაჭერით შესწორებები, რომელიც კონკრეტულ სისხლის სამართალს ეხება და პირდაპირ წერია რეზოლუციის ტექსტში, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასეულობით ადამიანს იბარებენ დაკითხვაზე და ასე შემდეგ. ამ დამატებებს მხარი არ დაუჭირა არც ერთმა მომხსენებელმა და არც მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარემ მისცა ხმა და ბუნებრივია, არც ჩვენ გავიზიარეთ“, – განცხადა ბესელიამ.

საპარლამენტო უმცირესობაში კი განსხვავებულად ფიქრობენ. გიორგი კანდელაკი მიიჩნევს, რომ:

„დეპუტატების აზრი იყო ერთმნიშვნელოვანი, გადაჭრით იქნა უარყოფილი დოკუმენტის უკან გაწვევა, გადაჭრით იქნა უარყოფილი „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებული უკლებლივ ყველა შესწორება, რეზოლუცია ასევე იქნა მიღეული ხმების დიდი უმრავლესობით და ასევე ეს არის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს „ქართული ოცნების“ ორწლიანი მოღვაწეობის უმწვავეს საერთაშორისო შეფასებას“, – განაცხადა კანდელაკმა. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები...

## როგორ ეხმაურებიან ცნობილები ეკა ბესელიას „ინგლისურის სკანდალს“



სოციალურ ქსელში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე დეპუტატ ეკა ბესელიას სიტყვით გამოსვლას ეხმაურებიან.

**გოგა ხაჩიძე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:**

– რატომ არ მიჯერებთ, ქ-ნო ეკა! ამას არ სჯობდა, გამოსულიყავით და ჩვეული ხმით გეკივლათ: **Peeeeooooopleeeeeeeeeee!**..........

**თამარ ჩერგოლეიშვილი, ტელეწამყვანი:**

– გენაცვალეთ, ქ-ნო ეკა **<3 Who f..d the chairman? This is the question!**....

...ბესელიას გამოსვლა წაშალეს „იუთუბიდან“, გადმოწერა ვინ მოასწრო? **P.S.** ცნობისთვის, ევროპის საბჭოს მედიაცენტრიდანაც შეიძლება გამოთხოვა და გამოვითხოვ. ტყუილად გაისარჯა ქ-ნი ეკა“.

**გიორგი ხაბურძანია, „რუსთავი 2“-ის საერთაშორისო პროექტების დირექტორი:**

„მარგველაშვილს რომ არ უშვებენ არსად, ბესელია არ გაუშვან არასოდეს და არსად, სჯობია. ეკა ბესელია ინგლისურად ისე ლაპარაკობს, როგორც ჭიკაიძე ქართულად“.

**გეგა ფალავანდიშვილი, „რუსთავი 2“-ის მარკეტინგის მენეჯერი:**

– ბრძენი ჰყავთ მაგალითად და რა ქნან, „ის ურჩევნია მამულსაო“, არ გაგიგია?!.

**ნიკა ქავთარაძე, ტელეწამყვანი:**

– წინა მთავრობა მარტო თავის ახლობლებსა და ოჯახის წევრებს ასწავლიდა ინგლისურს – ეჭვი მაქვს, კომპიუტერსაც!

ბესელიას ქართული ასოებით ეწერა ინგლისური სიტყვებიო.

**გიორგი სუხიტაშვილი, მომღერალი:**

– რაზეც მეცინება, უნდა გავიცინო, შე კაი ადამიანო, თუ არ გეცინება ვინ გაძალებს? მაგრამ ის, რომ ადამიანებს ჩამორჩენილი უწოდო მხოლოდ იმის გამო, რომ ვინმეს ინგლისურზე გაეცინა, ეს უფრო დიდი ჩამორჩენა მგონია. ყველა სხვადასხვაგვარად აღიქვამს რაღაცებს და ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ინტელექტთან და ჯანსაღ ურთიერთობებთან რაიმე სახის პრობლემები აქვს... უნაკლო არ ვარ, მაგრამ არც ჩამორჩენილი **P.S.** მართლა სასაცილოა, შე კაი დედმამიშვილო, ქართულად წაიკითხე და შემდეგ გამოსვლამდე მოამზადე წარმოსათქმელი სიტყვა ისე, რომ არ გაგვეცინოს. კეთილი რჩევაა და თან ამის სრულ უფლებასაც ფლობ.



**გიორგი ნაზღაიძე, ტელე-რადიო წამყვანი:**

– ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნაზღაიძე ჩუმადაა :((((

**ნანუკა ჟორჟოლიანი, ტელეწამყვანი:**

– ნიუს ფიდს გადავხედე და გადავწყვიტე, მე არაფერი ვთქვა მასზე. დღეს მინდა ამით გამოვირჩეოდე. ხო და სვიით დრიიიმზ მაი ფრეენდ, სიი იუ თუმოროოუ.

**ია ფარულავა, მსახიობი:**

– ახალი ინგლისური სიტყვები მეგობრებო. აბა, გამოიცანით, როგორია სწორი გამოთქმა, ოღონდ ქართული ასოებით დავწეროთ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მასაც ქართული ასოებით ეწერა – 1. ჯუდიქარი, 2. ტორჩ, 3. იქუად, 4 მედია კორიჯ, 5 ინშუმან ...ქართული გვარები არ დაუმახინჯებია სამაგიეროდ :)))))))))))))))))) **She made my day I swear** :)))))))))))))))

***ambebi.ge***

საინტერესო ამბები...

## „თამარ გვერდწითელმა ცოლშვილიან კაცს ოჯახი მიატოვებინა“ – რეალობა თუ რუსული მედიის ცილისწამება



რუსული მედიის ცნობით, მომღერალი, რომელსაც მრავალი წელია მარტო ხედავენ, კამერის ობიექტივებში კავკასიური გარეგნობის მამაკაცთან ერთად გამოჩნდა.

გვერდწითელმა განაცხადა, რომ მისი თანმხლები პირი მშენებლობის ზედამხედველი იყო, რომელიც მის სახლში რემონტს აკეთებდა. თამარ გვერდწითელის მეზობლებმა ჟურნალისტებს შეატყობინეს, რომ მამაკაცი, რომელიც ფოტოზე იყო ასახული, რეგულარულად გამოდის თამარის სახლიდან.

მომღერალთან დაახლოებული პირი ნოვრუზ მამედოვი მსხვილი ბიზნესმენია ხაბაროვსკიდან. მისი მეუღლის სვეტლანა მამედოვას თქმით, მისი ქმარი თამარის ოჯახის მეგობარია.

– შეიძლება ითქვას, ოჯახებით ვმეგობრობთ. ჩემი შვილი, მაგალითად, მის შვილთან მეგობრობს. მე და თამარიც ვიცნობთ ერთმანეთს. ჩემი ქმარი მათი ოჯახის მეგობარია. ის თამარს ეხმარება – როდესაც ჩვენს მხარეში ხვდება, მანქანას, დაცვას და რაც საჭიროა ყველაფრის ორგანიზებას უკეთებს. რამდენჯერაც ბაქოში იყო, ჩემი ქმარი ხვდებოდა და ეხმარებოდა, – აცხადებს მამედოვა.

***ambebi.ge***

საინტერესო ამბები...

## დათო გოგიშვილი: „ნუ იქნება ეს სიწმინდეები მხოლოდ ელიტის პრივილეგია! საქართველო დიღომში არ მთავრდება...“

როგორც იუმორისტი დათო გოგიშვილი წერს, საქართველოს ევროატლანტიკური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის იდეა, უფრო სოციალური და მასებზე ორიენტირებული უნდა გახდეს.

– თუ გვინდა, რომ ნატოში ინტეგრაციისა და ზოგადად საქართველოს ევროატლანტიკური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის იდეა გახდეს, მასებისთვის იყოს უფრო პოპულარული, ის უნდა გავხადოთ უფრო სოციალური, მასებზე ორიენტირებული. დღესდღეობით ნატოში გაწევრიანების იდეა საქართველოში არის ძალიან დაუნდობლად სვეტსკი და შარდენიდან უყურებს დანარჩენ საქართველოს, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. ასეთი მიდგომა საზოგადოებაში იწვევს შეფარულ პროტესტსა და აგრესიას ამ უდიდესი სიწმინდეების მიმართ. გავხადოთ პროლეტარიატი, უბრალო მოკვდავნი და უპოვარნი ამ იდეის თანაზიარი და ნუ იქნება ეს სიწმინდეები მხოლოდ ელიტის პრივილეგია!!!! დაიმახსოვრეთ!!!! საქართველო დიღომში არ მთავრდება!!! – წერს გოგიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.



***pia.ge***

საინტერესო ამბები...



## რატომ გრძნობს თეონა კონტრიძე თავს გურულ სოფლელად?

მომღერალი სოციალურ ქსელში წერს, რომ გურულებს აქვთ ის, რაც თბილისელებს აკლიათ.

– თბილისში დავიბადე და ვიცხოვრე 17 წლამდე და რატომ ვგრძნობ გურულ სოფლელად უფრო თავს, არ ვიცი!!!! ალბათ, იმიტომ, რომ გურულებს ბევრად თავისუფალი დუხი მოსდით, ვიდრე თბილისელებს... ბევრად მჩატეები არიან, თვითირონიულები და სრულიად არასერიოზულები, რაც თბილისელებს აკლიათ, – წერს კონტრიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

***pia.ge***

საინტერესო ამბები...

## რა უნდა იცოდნენ ნუცა ბუზალაძის თაყვანისმცემლებმა



მომღერალ ნუცა ბუზალაძის თქმით, თაყვანისმცემლების მიმართ, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ისინი, ზრდილობიანად არის განწყობილი.

– არ იციან, სად ვცხოვრობ და აქედან გამომდინარე, კართან თაიგული არავის დაუტოვებია. მისამართს არავის ვეუბნები. სახლში ყველაფრისგან ვისვენებ და ამ დროს ჩემი იდილია ვინმემ რომ დაარღვიოს, არ მომეწონება. საერთოდ, როცა ადამიანი არ მოგწონს და მით უმეტეს, არ გიყვარს, მისთვის მადლობის გადახდა იოლია. მეც ზრდილობიანად ვუხდი ხოლმე მადლობას, კომპლიმენტებისა და ყურადღებისთვის, – განაცხადა ნუცა ბუზალაძემ.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები...

## ნიკა ქავთარაძე: „რჩევა ტ%ნაურახლახანდაწყებულ ბიჭებს“



ტელეწამყვანი და იუმორისტი ნიკა ქავთარაძე „თავისუფალი ზონის“ ოფისთან გამართულ აქციას ეხმაურება.

– რჩევა ტ%ნაურახლახანდაწყებულ ბიჭებს – გოგო, რომელიც უპრეზერვატივო სექსზე არაფრით არ გთანხმდებათ, არის ჯანმრთელი და არა ის, რომელიც გეუბნებათ, – არაფერი მჭირს, ნუ გეშინიაო. იმიტომ, რომ ის ყველას ამას ეუბნება. პრეზერვატივები უსვრიათ დღეს რაღაც აქციაზეო და მაგაზე გამახსენდა, – წერს ქავთარაძე.

***pia.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. ხელმძღვანელი ორგანიზაცია (საბჭ.)
2. რეჟისორი ... ჩოხელი
3. ის, ვინც მუსიკას წერს
4. აფრო-ამერი-კელი
5. რაიონი ნიუ-იორკში
6. ბოშათა საბჭოთა თეატრი
7. ძაღლის მიერ სუნის აღება
8. კიბის მაგიერი დაქანებული სიბრტყე
9. საწვავი აირი წითელ ბალონში
10. „... გრძელი წინდა“
11. მსახიობი გრეგორი ...
12. ზადი
13. თოვლის კრისტალი
14. ბრიუს უილისი ფილმში
15. ტბა აფხაზეთში
16. სანაკეთობო მინერალ. ქვა
17. ქალის სასიმღერო ხმა
18. თავისუფალი ფორმის ნაწარმ.
19. მდინარე თერგის ხეობა
20. მსახიობი ... დელ ტორო
21. მცირე არია
22. ვალსების „მეფე“
23. „კავკასიური ცარცის ...“
24. რადიოტალღების მიმღები სახურავზე
25. შეუძლოდ, უქეიფოდ ყოფნა
26. ქრისტიანული დღესასწაული
27. მსახიობი ... დემონჟო
28. „იუმორინა“ ჯემალ ...
29. მეკარე ... კრალი
30. ლანგარი
31. მამათა დიდი მონასტერი
32. ზაფხულის თვე
33. პატარა მარხილი
34. მანუალური თერაპია
35. ბრძოლის საშუალებები (ზოგადად)
36. სრუტე პა-დე-...
37. სამშობლოს მოყვარული, პატრიოტი
38. სოფელი ოზურგეთის რაიონში
39. შანელი №5
40. „ინტუიცია“. ... ქავთარაძე
41. რუსი მომღერალი იოსებ ...
42. თავაშვებული ღრეობა
43. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
44. „დათა თუთაშხია“. ... ქილია
45. ერთგვარი პალმა
46. ყველაზე მტკიცე მინერალი
47. „მაუგლი“. დათვი
48. მზის სიმრგვალე
49. ხორბლის სალეწი მოედანი
50. მომლოცველი
51. მსახიობი გრეტა ...
52. ... დე ბალზაკი
53. საზოგად. კულტურის განვითარების დონე
54. მანათობელი მწერი
55. ბურატინოს მეგობარი
56. გრძელი კბილი
57. „ჩვენი ეზო“. დეიდა ...
58. „ტყემ მოისხა ...“
59. მატყუარა
60. ინტუიცია, გეში
61. მხარე დას. საქართვ.
62. ავსული არაბულ ზღაპრებში
63. სიმდიდრე: ...-დიდება
64. ასოს თავზე დასმული მძიმე
65. ნიშნავს წყალს
66. „... გათეთრდების ყორანი“
67. ტერიტ. გეოგრ. გამოსახულება
68. ვეტერ. ფეხბურთ. პაოლო ...
69. ჟულიეტა მაზინას საკულტო როლი
70. პატარა არხი
71. რუსი მოჭადრაკე არონ ...
72. საბჭოთა ავტომობილი
73. მესია ... ქრისტე
74. ერთგვარი ქუდი
75. შხამიანი გველი
76. პირადი საქმე
77. მილიცა კორიუსი ფილმში
78. გამის ნოტი
79. ლათინოამერიკ. ცეკვა
80. ლაშქარი (ძვ.)
81. საქართვ. ისტორ. მხარე: ...-თიანეთი
82. იკაროსის მამა. ბუმბულისა და ცვილისაგან დაამზადა ფრთები (ბერძნ. მითოლოგ.)
83. ფიგურის გამოსაკვეთი სამოსი
84. „ქორმა ... წაიღო“
85. ბრინჯაო (ძვ.)
86. აბატი პრევო. „მანონ ...“
87. ოსტაპ ბენდერი, როგორც თაღლითური კომბინაციების მომწყობი
88. კრემიანი ნამცხვარი
89. ბოროტი არსება სკანდინ. მითოლოგ.
90. ... ხრენნიკოვი
91. მომღერალი ... ჯაგერი
92. მწერალი ვიტალი ...
93. მდინარე ნილოსის რეპტილია
94. ბოლოსიტყვა ქრისტ. რელიგიაში. ნიშნავს ჭეშმარიტად
95. მაგნატი არისტოტელე ...
96. შინაური მტაცებელი ცხოველი
97. სამყაროს შავი სივრცე
98. ხორცის უძვლო ნაჭერი
99. ებრაელთა მით. პატრიარქი
100. რბენა, სირბილი
101. ზღვა კუნძულ სახალინთან
102. იტყვიან გენიოს ადამიანზე
103. ხის ხელოსანი
104. შინაგანი „მე“
105. ქალაქი ესპანეთში
106. მსახიობი ჟან-პოლ ...
107. კომპოზიტორი ... კვერნაძე
108. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
109. კუნძული აფრიკასთან
110. მწვრთნელი ... ბეარზოტი
111. მსახიობი ... ჰაიეკი
112. ქმარი ცოლის მშობლებისათვის
113. ხორთუმიანი ცხოველი
114. „... რაიანის გადასარჩენად“
115. ივნისის ხალხური სახელი
116. ძვირფასი ლითონი
117. დასაჭურისება, ანუ ...
118. კართაგენელი მხედართმთავარი
119. ნავსადგური
120. შინაარსი
121. ნიშნავს სიცივეს
122. დახვეწილი, ფაქიზი
123. ქალაქი ავსტრიაში
124. ახალი ... კარგად გვის
125. მგოსანი ანტიკურ საბერძნეთში
126. ერთთვალა გოლიათი ბერძნ.მით.
127. რძის პროდუქტი
128. ერთგვ. კოსმეტიკ.
129. შხამიანი ხე
130. ... შანელი
131. ნახშირბადნარევი რკინა
132. მდინარე საფრანგეთში
133. მხ./ფ. „იმერული ესკიზები“. მათხოვარი
134. ქიმიური ელემენტი
135. ნაბიჯი ბალეტში
136. ხრიკი, ფანდი
137. დინჯი, ჭნიერი ადამიანი
138. ვაქცინაცია
139. ტყის ფრინველი
140. ხერხემლის ძვალი
141. დღეის მომდევნო დღე
142. ... მოგივა დავითაო
143. მსახიობი ჟერარ ...
144. „... ურჩევნია მამულსა“
145. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში
146. ბალახი. აკეთებენ მწნილს
147. დაბალფასიანი
148. რიცხვი 3,14
149. ტენორი ... ლანცა
150. მდინარე რუსეთში



პასუხები: 1. ტრესტი; 2. გოდერძი; 3. კომპოზიტორი; 4. ზანგი; 5. მანჰეტენი; 6. „რომენი“; 7. გეში; 8. პანდუსი; 9. პროპანი; 10. პეპი; 11. პეკი; 12. ნაკლი; 13. ფიფქი; 14. „არმაგედონი“; 15. რიწა; 16. ონიქსი; 17. ალტი; 18. ესე; 19. დარიალი; 20. ბენისიო; 21. არიოზო; 22. იოჰან შტრაუსი; 23. წრე; 24. ანტენა; 25. უქეიფობა; 26. ფერისცვალება; 27. მილენ; 28. ბაღაშვილი; 29. ივიცა; 30. სინი; 31. ლავრა; 32. აგვისტო; 33. ციგა; 34. მასაჟი; 35. იარაღი; 36. კალე; 37. მამულიშვილი; 38. ნასაკირალი; 39. სუნამო; 40. ნიკა; 41. კობზონი; 42. ორგია; 43. იბისი; 44. ნიკანდრო; 45. რაფია; 46. ალმასი; 47. ბალუ; 48. დისკო; 49. კალო; 50. პილიგრიმი; 51. გარბო; 52. ონორე; 53. ცივილიზაცია; 54. ციცინათელა; 55. არლეკინი; 56. ეშვი; 57. ვასასი; 58. ფოთოლი; 59. ცრუ; 60. ალღო; 61. გურია; 62. ჯინი; 63. ავლა; 64. აპოსტროფი; 65. აკვა; 66. არ; 67. რუკა; 68. მალდინი; 69. კაბირია; 70. რუ; 71. ნიმცოვიჩი; 72. „ზიმი“; 73. იესო; 74. კეპი; 75. გველგესლა; 76. დოსიე; 77. „დიდი ვალსი“; 78. მი; 79. რუმბა; 80. სპა; 81. ერწო; 82. დედალოსი; 83. კორსეტი; 84. წიწილა; 85. რვალი; 86. ლესკო; 87. კომბინატორი; 88. ეკლერი; 89. ტროლი; 90. ტიხონ; 91. მიკ; 92. ბიანკი; 93. ნიანგი; 94. ამინ; 95. ონასისი; 96. კატა; 97. კოსმოსი; 98. ფილე; 99. მოსე; 100. რბოლა; 101. ოხოტი; 102. ბუმბერაზი; 103. დურგალი; 104. ეგო; 105. ბარსელონა; 106. ბელმონდო; 107. ბიძინა; 108. მემ; 109. მადაგასკარი; 110. ენცო; 111. სალმა; 112. სიძე; 113. სპილო; 114. რიგითი; 115. თიბათვე; 116. ოქრო; 117. კასტრაცია; 118. ჰანიბალი; 119. პორტი; 120. არსი; 121. კრიო; 122. ნატიფი; 123. ზალცბურგი; 124. ცოცხი; 125. რაფსოდი; 126. ციკლოპი; 127. დო; 128. ირისი; 129. ანჩარი; 130. კოკო; 131. ფოლადი; 132. ლო; 133. ოლია; 134. იოდი; 135. პა; 136. ოინი; 137. დარბაისელი; 138. აცრა; 139. როჭო; 140. მალა; 141. ხვალ; 142. რაც; 143. დეპარდიე; 144. ის; 145. ვარნა; 146. დანდური; 147. იაფი; 148. პი; 149. მარიო; 150. ობი.



ექიმი ნარკოზისგან გაბრუებულ პაციენტს ესაუბრება:

– ოპერაცია მშვენივრად გადაიტანეთ, თუმცა ოპერაციის დაწყებამდე ძალიან ცუდად იქცეოდით – ყვიროდით, ფეხებს გვირტყამდით, იგინებოდით... ზუსტად თქვენსავით საშინლად იქცეოდა თქვენი მეგობარიც!

– ექიმო, ჩვენ ხომ თქვენს საავადმყოფოში ფანჯრების გასაწმენდად გამოგვგზავნეს!!!

*****

– რატომ მოიპარეთ ტუალეტის ქაღალდი?

– არ მომიპარავს, ვაპირებდი გადახდას!

– იმის 50 თეთრი არ გქონდათ, საფასური გადაგეხადათ?

– არა, ბატონო, დრო არ მქონდა, დრო!..

*****

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საჭმელი ჭამე? – დაცინვით გაიმეორა კითხვა ქმარმა.

– გეყოფა ჩემი გაჯავრება!

– გეყოფა ჩემი გაჯავრება!

– სულ გააფრინე?!

– სულ გააფრინე?!

– მე შენ ისე მიყვარხარ, დაბადების დღეზე ყველაზე ძვირიან ქურქსა და სუნამოს გიყიდი!

– ოოო, ვჭამე, ბატონო, ვჭამე უკვე...

*****

– ჭამის წინ ლოცულობთ ხოლმე?

– არა, ჩემი ცოლი კარგი მზარეულია!

*****



ქეიფობენ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წევრები და ერთი რიგითი ქართველი.

წამოდგა „ნაცი“ და ომახიანად ამბობს:

– ამ ჭიქით მინდა „ქართულ ოცნებას“ გადაშენება ვუსურვო!

„ნაცს“ არც „ქოცი“ ჩამორჩა:

– მსურს შევსვა ეს ჭიქა და „ნაციონალური მოძრაობის“ ამოძირკვა ვისურვო!

რიგითი ქართველის ჯერიც დადგა, აიღო ჭიქა, თვალები ზეცისკენ ალაპყრო და ღმერთს შეჰღაღადა:

– უფალო, გემუდარები, შეისმინე ორივეს თხოვნა!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ძილთან დაკავშირებული საყოველთაოდ გავრცელებული მცდარი შეხედულებები



ზუსტად რთულია იმის დაანგარიშება, თავისი სიცოცხლის რა დროს კარგავს ადამიანი უქმად, თუმცა ის კი ცნობილია, რომ ყველაზე მეტხანს თითოეული ჩვენგანი ძილს უთმობს.

მეცნიერები აღიარებენ, რომ ძალიან ბევრი კვლევის მიუხედავად, ძილი მაინც ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოა და ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ ხალხში არაერთი მცდარი შეხედულებაა გავრცელებული.

ჩვენც სწორედ ასეთი მითებისა და ლეგენდების გაქარწყლებას შევეცდებით:

– ძილის დროს ადამიანი ისვენებს, ხდება კუნთების სრული მოდუნება და აზროვნების პროცესების აღდგენა

სინამდვილეში არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ ასეთი რამ მართლა ხდება. სპეციალისტების განმარტებით, ძილის დროსაც ბევრი ორგანო აგრძელებს მუშაობას, თანაც სრული დატვირთვით, ზოგიერთი კი იმაზე აქტიურად მუშაობს, ვიდრე ფხიზლობისას. მაგალითად, ზოგიერთი ჰორმონის სეკრეცია, ტვინის გარკვეული მონაკვეთები და ასე შემდეგ.

– ძილის დროის ცვალებადობით ადამიანის ორგანიზმი არ ზიანდება

რეალურად ეს ასე ნამდვილად არ არის, რადგან ძილის ხანგრძლივობის თუნდაც 1 საათით მაინც შემცირება ორგანიზმზე საშინლად მოქმედებს. რა თქმა უნდა, თავიდან ამას ადამიანი ვერც კი იგრძნობს, მაგრამ დროთა განმავლობაში შედეგი აუცილებლად დადგება და მდგომარეობა სულ უფრო დამძიმდება. მაგალითად, დაქვეითდება იმუნიტეტი, დაზიანდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა და ასე შემდეგ.



– ჩვენი ორგანიზმი ძილის ნებისმიერ რეჟიმს შეეჩვევა

ესეც არ არის მართალი, რადგან ორგანიზმს ურჩევნია, ღამით ეძინოს. ამდენად, ძილის რეჟიმის არევით მუდმივი დაღლილობა და მოთენთილობა გარანტირებული გაქვთ.

– სამუშაო დღეების უძილობას შაბათ-კვირას აინაზღაურებთ

ასეთი სისტემა მართლაც იძლევა საშუალებას, ადამიანმა განწყობა გამოიკეთოს, მაგრამ დღის ძილი მაინც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ბიოლოგიურ საათზე და სამომავლოდ უარყოფითად მოქმედებს ღამით ჩაძინებაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. გარდა ამისა, სპეციალისტები არ გვირჩევენ დაძინებას შუადღის შემდეგ, დღის ძილის დრო კი 1 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

– ბევრი მიიჩნევს, რომ ხვრინვა ნორმალურია

იმის მიუხედავად, რომ ხვრინვის მავნებლობის შესახებ მხოლოდ ზარმაცები არ წერენ, ბევრი მაინც მიიჩნევს, რომ ხვრინვაში ხმის გარდა ცუდი არაფერია. რეალურად, უარყოფითად მოქმედებს ძილის ხარისხზე და ადამიანის ზოგად ჯანმრთელობასაც ვნებს.

– უძილობაში მღელვარება და ცუდი აზრებია დამნაშავე

ეს მართლაც შეიძლება გახდეს უძილობის მიზეზი, მაგრამ ძალიან მცირე დროის მანძილზე. უძილობის რეალური მიზეზი შეიძლება იყოს დეპრესია, მედიკამენტები, დისკომფორტი, რომელიც გამოწვეულია გარემო პირობების ან ავადმყოფობის გამო.

***hozna.ru***

## მეცნიერები: ქალებს სექსუალური ფანტაზია აუცილებლად უნდა ჰქონდეთ




– ოჰ, ეს გაუმაძღარი მამაკაცები! მათი გონება მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობს! მათ ეროტიკულ ფანტაზიებს საზღვარი არ აქვს, – ასე დაახასიათებს, ალბათ, მამაკაცებს მშვენიერი სქესის მინიმუმ ნახევარი მაინც.

საინტერესოა, მხოლოდ მამაკაცებს აქვთ ეროტიკული ფანტაზიები? როგორც აღმოჩნდა, სულაც არა! სინამდვილეში, ქალიც საკმაოდ ხშირად ოცნებობს სექსუალურ ურთიერთობებზე, თუმცა ხმამაღლა ამის აღიარებას თითქმის ყველა ერიდება.

გერმანიაში ცნობილი სექსოთერაპევტი კრისტინა ბაუმანსი განმარტავს, რომ სექსუალური ფანტაზიები ქალებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ. მეტიც, ეს ფანტაზიები მათ პრაქტიკაშიც უნდა განახორციელონ. თერაპევტი იმასაც ამბობს, რომ, სამწუხაროდ, ქალების ძალიან მცირე ნაწილს თუ შეუძლია საკუთარი სურვილები გაანდოს ქმარს თუ პარტნიორს, რითიც იზიანებს როგორც ფსიქიკას, ისე ზოგადად, ჯანმრთელობის მდგომარეობას.

გერმანელი სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, რომლებიც საკუთარ თავში სექსუალური ფანტაზიების ჩახშობას ცდილობენ, სერიოზული პრობლემები აწუხებთ. დაახლოებით 7 პროცენტს მედიკოსებმა კიბოს დიაგნოზიც კი დაუსვეს.

– არავითარ შემთხვევაში არ უნდა შერცხვეთ ქალებს საკუთარი ფანტაზიების, რადგან ძალიან დიდია რისკი, რომ შედეგები ყველაზე საშინელი იქნება, – ამბობს გერმანელი მკვლევარი.

***ero-news.co.cc***

## ბეთჰოვენის დეენემიდან მეცნიერებმა... მელოდია შექმნეს



დაუჯერებელია, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებამ ასეთი შედეგიც აჩვენა. თქვენ წარმოიდგინეთ, მელოდია ძალიან სასიამოვნო მოსასმენია და თუკი მას ინტერნეტით მოიძიებთ და მოისმენთ, უკმაყოფილო ნამდვილად არ დარჩებით.

უახლესი ტექნოლოგიების დახმარებით, შოტლანდიელმა კომპოზიტორმა სტიუარტ მიტჩელმა დიდი კომპოზიტორის დეენემის 22 ამინომჟავა ნოტებად გადააქცია.

მელოდია, რომლის შექმნასთან კავშირი თავად ლეგენდარულ ბეთჰოვენსაც აქვს კავშირი, დღის სინათლეზე მისი გარდაცვალებიდან თითქმის 200 წლის შემდეგ გამოვიდა.

ცნობილი ხდება, რომ მიტჩელი დიდი ხანია, კიმატიკას სწავლობს, ტალღური ოპტიკის სფეროს, როცა წყალს ან ქვიშას შორის გავლის შემდეგ გარკვეული ფორმები მუსიკალურ ტალღებს წარმოქმნიან.

შოტლანდიელი კომპოზიტორის იდეის საფუძველი ბეთჰოვენის დეენემის გაშიფვრა და ამინომჟავებისთვის ნოტების მისადაგება იყო. დეენემის მიღება მან დიდი კომპოზიტორის თმის ღერის დახმარებით შეძლო. შემდგომ ეტაპზე მეცნიერების ჯგუფმა დეენემი შეისწავლა და მუსიკის დასაწერად გენების სია გამოიყენა.

– არც კი მინდა იმაზე ფიქრი, რომ შეიძლებოდა ბეთჰოვენის თმის ღერი ტყუილად დაგვეკარგა. მით უმეტეს, რომ კომპოზიტორის თმის მფლობელმა შეძლო და ეს საგანძური ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ტყვეობის დროსაც კი არ დაკარგა, – ამბობს სტიუარტ მიტჩელი.

მისივე თქმით, შედეგს ყველა ძალიან დიდი ემოციებით ელოდა. საბედნიეროდ, მელოდია ურიგო არ გამოდგა. ის ბეთჰოვენის სტილს ჩამოჰგავს, თითქმის ტრაგიკულია და სავსეა თანაგრძნობით...

***lifenews.ru***

## ნაკლებად ცნობილი თევზის სახეობის დახმარებით უძლიერესი ჯავშანი შეიქმნება



ამაზონის აუზი – დედამიწის არცთუ ისე სტუმართმოყვარე ადგილია. აბა, სცადეთ და მდინარეში ხელი უდროო დროს და უადგილო ადგილას დაიბანეთ, შეიძლება თითებს სამუდამოდ დაემშვიდობოთ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ცოცხალი არსება ცდილობს, სისხლისმსმელ და მკვლელ პირანიებს თავი აარიდოს, გარდა ერთი ნაკლებად ცნობილი თევზისა და სწორედ მის შესახებ მოგიყვებით ქვემოთ: არაპიამი ორ და სამ მეტრსაც კი აღწევს სიგრძეში, ხოლო წონა 200 კილოგრამამდე აქვს. ასეთი რაოდენობით გემრიელი ხორცის მიუხედავად, ის თავს მაინც თავისუფლად გრძნობს და პირანიების სულაც არ ეშინია.

დიდხანს იმტვრევდნენ თავს მეცნიერები და მხოლოდ ახლაღა მიხვდნენ, რატომ არ ეშინიათ არაპიამებს პირანიების. აღმოჩნდა, რომ მთელი საიდუმლო მათ სრულიად უნიკალურ „ჯავშანშია“, რომლის დაზიანებას ათობით პირანიაც კი ვერ ახერხებს.

კვლევის ერთ-ერთი ავტორი ამერიკელი ინჟინერი მარკ მეიერსია, რომელიც ამაზონის ჯუნგლებს რამდენიმე წელია სწავლობს.

მისი განმარტებით, პირველ რიგში, ყურადღებას არაპიამის ძლიერი ქერცლი იქცევს, რომლის ცალკეული ნაწილის სიგრძე ზოგ შემთხვევაში 10 სანტიმეტრსაც კი აღწევს. მეცნიერებმა ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს: არაპიამის ქერცლი პირანიების მძლავრ ყბებში მოაქციეს, რათა ენახათ, როგორ დამთავრდებოდა შერკინება. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: პირანიამ არათუ გაჭრა არაპიამის ქერცლი, არამედ თავად დაემტვრა კბილები!..




მაინც, რაშია საიდუმლო? პირანიის კბილები ხომ სამართებელივით მჭრელი და იმდენად მტკიცეა, რომ დიდი ცხოველის ძვლის წამებში ჩამსხვრევა შეუძლია. აი, ეს რომ დაედგინათ, მეცნიერებმა არაპიამის ქერცლის აგებულება და სტრუქტურა დეტალურად შეისწავლეს.

აღმოჩნდა, რომ თითოეული ქერცლი ორფენიანია: შიდა ფენა კოლაგენისგან შედგება, ცილისგან, რომელსაც შემაერთებელი ქსოვილები შეიცავს (კოლაგენი ჩვენი ორგანიზმის ყველაზე გავრცელებული ცილაა). გარე ფენა, რომელსაც პირველ რიგში ეხება პირანიის კბილი, მართალია, კვლავაც კოლაგენისგან შედგება, მაგრამ კალციტით ისეა გაზავებული, რომ, პრაქტიკულად, ქვასავით მყარია.

მეცნიერების აზრით, ძალლის თავიც სწორედ ორმაგ: მყარი და რბილი ფენის არსებობაში იმალება. არაპიამის ქერცლის ორივე ფენა მყარი რომ იყოს, პირანიის რამდენიმე კბენა მას აუცილებლად გაბზარავდა და ბზარები შიდა ნაწილად დააზიანებდა, მაგრამ შიდა რბილი ფენა ასეთ უსიამოვნებას, პრაქტიკულად, გამორიცხავს.

აღნიშნული მიგნებიდან გამომდინარე, მეცნიერები უახლესი თაობის უნიკალური ჯავშნის შექმნას ვარაუდობენ, რომელიც, ფაქტობრივად, ნებისმიერი სახის ზეწოლას გაუძლებს.

***popmech.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. ამფიბია
2. უდარდელი, მოქეიფე
3. მსახიობი ალისა ...
4. მსახიობი კარლო ...
5. ერთ-ერთი თითი
6. მსახიობი კოტე ...
7. ჩრდილოეთის ირემი
8. მხატვარი ავთო ...
9. ... აღმართს ხნავს
10. ჰანს-ქრისტიან ...
11. ბრიტ. „ჯეჯი“ ...
12. ქურციკი
13. მდინარე თბილისში
14. ისლანდიის დედაქალაქი
15. მსახიობი აიშვარია ...
16. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
17. იაპონური მინიატურ. ქანდაკება
18. ჯამის ფორმის სასმისი
19. ჰომეროსის პოემა
20. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
21. მხ/ფ „ჩარლის ...“
22. მოძრავი რადიოსადგური
23. დონ კიხოტ ...
24. მწვანილი
25. ... კუზანოვი
26. ნიკოლოზ (ტატო) ...
27. კომპოზიტორი დიმიტრი ...
28. ციხესიმაგრე თბილისში
29. ერთიანი ნარდში
30. მსახ. ... ღაღანიძე
31. ძველი ქართული სახალხო თამაშობა ქამრებით
32. დაუდუღარი ღვინო
33. მდინარე გარდაბნის რაიონში
34. მტაცებელი ფრინველი შავარდენის ოჯახიდან
35. ახლად ამოსული ხორბალი
36. ... ჩიბურდანიძე
37. მსახ. ... მაკგრეგორი
38. მოკრივე ... ჰოლიფილდი
39. აზრი
40. მსახიობი არკადი ...
41. გულიანი ნამცხვარი
42. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპედია
43. ხორბლით დათესილი ადგილი
44. დაბალი ხარისხის კონიაკი
45. ქალაქი ზემო იმერეთში
46. მომღერალი ივანე ...
47. „კავკასიონის თოლიანი“
48. ყვავილი
49. გალაქტიკა: ანდრომედის ...
50. მტაცებელი თევზი
51. რბილი ლითონი
52. დაბალფასიანი
53. რეჟისორი გას ... სენტი
54. ტელეფონის ზარი
55. ქალის პირბადე
56. საყოფაცხოვრ. ელექტრონიკის ფირმა
57. მსახიობი ... კახიანი
58. ყაზახეთის დედაქალაქი
59. მსახიობი ია ...
60. ფეით-ნასახელი მხატვრობა
61. „... ხარ ვენახი“
62. კონტინენტი
63. სტალინის დედა
64. კაპიტან ნემოს გემი
65. ფეხბურთელი ზურაბ ...
66. კუთხის საზომი ერთეული
67. სწავლის ... მწარე არის
68. ბოსტნეული
69. ღომში ჩაზელილი სულგუნი
70. ღია მიშენება შენობაზე
71. მხატვარი დავით ...
72. ოპერა „აბესალომ და ...“
73. საჭმლის ჯამი
74. მწერალი ... ტოლსტოი
75. ხორბლის ყვავილედი
76. კომპოზიტორი ... კალმანი
77. ზღვა შუა აზიაში
78. მხატვარი სალვადორ ...
79. მსახიობი ... სორვინო
80. ავსტრიის დედაქალაქი
81. ეკლესიური ტრიბუნალი XIII ს-ში
82. ავსტრალიური ველური ძაღლი
83. ოდისევსის სამშობლო
84. ველური ყაყაჩო
85. ესპანელი დიდებული
86. წვრილობითი თხოვნა
87. ფულის ერთეული კორეის სახალხ. რესპუბ.
88. ... გაგარინი
89. ღვინის დეგუსტატორი
90. ზღვის ცხოველი ... ცხვირით
91. პოლიტიკური სლოგანი
92. ქართ. ხალხური ზღაპარი
93. კარლო კოლოდის წიგნის ბიჭუნა
94. მსახიობი ... ჩანი
95. „ზღვის პერი“ პერსონაჟი
96. მეტყველების ორგანო
97. სოფელი ხარაგაულის რაიონში
98. კაკლის გული
99. ამოსახველებელი ნაყენი
100. სამკურნალო მცენარე
101. პოეტი ... ნიშნიანიძე
102. მომღერალი ... ოსბორნი
103. სახედარი
104. სოლჟენიცინის „არქიპელაგი ...“
105. თეატრის ფიცარნაგი
106. ... აარონ პრესლი
107. მდინარე კახეთში
108. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი
109. ქირაობა
110. „შერეკილები“ ფილმის რეჟისორი ... კუჭუხიძე
111. კარტი, ანუ ...
112. მსახიობი ... რაიანი
113. ჯიქანი
114. ... დე-ჟანეირო
115. ჰუნების ბელადი
116. ქალაქი ესპანეთში
117. წლოვანება
118. დაკოდილი ცხენი
119. მუხის ნაყოფი
120. ათოსი, არამისი, ...
121. ღობე
122. განმუხტვა ღრუბლებში
123. სოფელი რაჭაში
124. ფოლადის სადნობი ღუმელი
125. დედამიწის მიზიდულობა
126. ხელოვნური ენა
127. [illegible]
128. მსახიობი ... აბაშიძე
129. უკანონოდ მონადირე
130. მსახიობი ... ბესინჯერი
131. მიმართვა იაპონელი ქალისადმი
132. ... ფერის, ...
133. ხის ტოტი
134. [illegible]
135. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
136. სამიანი ნარდში
137. „ტვიკ ... ტოკი“
138. დაშინება
139. თამაში: ... პონგი
140. მწერალი ალფონს ...
141. ცხენების ჯოგი
142. მდინარე იტალიაში
143. მწერალი ... დე მოპასანი
144. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
145. ფრინველის რქოვანა პირი
146. ბოსტნეული
147. მომღერალი ... ჯონსი
148. ქალაქის მუნიციპალიტეტი

პასუხები: 1. სალამანდრა; 2. დარდიმანდი; 3. ფრეინდლიხი; 4. საკანდელიძე; 5. ცერი; 6. მახარაძე; 7. მარალი; 8. ვარაზი; 9. ძალა; 10. ანდერსენი; 11. ეარი; 12. ნიამორი; 13. ვერა; 14. რეიკიავიკი; 15. რაი; 16. ნეორეალიზმი; 17. ნეცკე; 18. ფიალა; 19. „ილიადა“; 20. სალიერი; 21. დეიდა; 22. რაცია; 23. ლამანჩელი; 24. კამა; 25. ივა; 26. ბარათაშვილი; 27. არაყიშვილი; 28. ნარიყალა; 29. იაქე; 30. ჯემალ; 31. ლახტი; 32. მაჭარი; 33. ლოჭინი; 34. ყარყუმი; 35. ჯეჯილი; 36. მაია; 37. ევან; 38. ევანდერ; 39. იდეა; 40. რაიკინი; 41. ქადა; 42. კარაბადინი; 43. ყანა; 44. ბრენდი; 45. საჩხერე; 46. მელაი; 47. მთა; 48. ია; 49. ნისლეული; 50. მურენა; 51. კალა; 52; იაფი; 53. ვან; 54. ზუმერი; 55. მანდილი; 56. „არაი“; 57. იმედა; 58. ასტანა; 59. ფარულავა; 60. ნაივი; 61. შენ; 62. აზია; 63. კეკე; 64. „ნაუტილუსი“; 65. ხიზანიშვილი; 66. გრადუსი; 67. ძირი; 68; თალგამი; 69. ელარჯი; 70. აივანი; 71. კაკაბაძე; 72. ეთერი; 73. პინა; 74. ლევ; 75. თავთავი; 76. იმრე; 77. არალი; 78. დალი; 79. მირა; 80. ვენა; 81. ინკვიზიცია; 82. დინგო; 83. ითაკა; 84. იორდასალამი; 85. გრანდი; 86. არზა; 87. ვონა; 88. იური; 89. სომელიე; 91. ლოზუნგი; 92. „წიქარა“; 93. პინოქიო; 94. ჯეკი; 95. ონისე; 96. ენა; 97. მოლითი; 98. ნიგოზი; 99. ალთე; 100. ალოე; 101. გიზო; 102. ოზი; 103. ვირი; 104. გულაგი; 105. სცენა; 106. ელვის; 107. ალაზანი; 108. აკვალანგი; 109. იარა; 110. ნოშრევან; 111. ბანქო; 112. მეგ; 113. ცური; 114. რიო; 115. ატილა; 116. ტოლედო; 117. ასაკი; 118. იაბო; 119. რკო; 120. პორთოსი; 121. მესერი; 122. ელვა; 123. ირი; 124. მარტენი; 125. გრავიტაცია; 126. იდო; 127. ცემი; 128. ლეილა; 129. ბრაკონიერი; 130. კიმ; 131. ტიან; 132. ფერი; 133. რტო; 134. დიანა; 135. გოა; 136. სე; 137. კონ; 138. მუქარა; 139. პინგ; 140. დოდე; 141. რემა; 142. პო; 143. გო; 144. სეე; 145. ნისკარტი; 146. ნიორი; 147. ნორა; 148. მერია. იკითხება: მადონა.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მეცნიერების რჩევა ქალებს: მიეძალეთ ხორცს



დიახ, ხორცს უნდა მიეძალოთო, მეცნიერები ამბობენ ასე და თუ არ დაუჯერებთ, არ გვგონია, მიღებული შედეგებით კმაყოფილები დარჩეთ.

– ხორცზე უარის თქმა ქალს უსწრაფესი ტემპებით აბერებს, – აი, ასეთი შემზარავი დასკვნა გამოიტანეს კონტინენტს გაღმა.

რაღა თქმა უნდა, ხორცის ჭამაზეა საუბარი, უფრო კულტურულად რომ ვთქვათ, დაგემოვნებაზე, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს – მთავარი ის არის, რომ უარი არამც და არამც არ მიიღება!

მოკლედ, ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის სპეციალისტებმა კვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ რაციონში ხორცის არარსებობა მშვენიერი სქესის გარეგნობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს.

სხვათა შორის, აქამდე სპეციალისტების უდიდესი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ხორცი ქალისთვის დამღუპველი საკვები იყო, თუმცა აგერ, ბატონო, არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

**myjane.ru**

## პერუს უძველესი მკვიდრები... პოპკორნს მიირთმევდნენ?



აფსუს, მაშინაც სცოდნოდათ დოლბი სისტემა და 3-დე ფორმატი, პოპკორნის ხრაშუნ-ხრამუნი უფრო არ მოეწონებოდათ პერუს უძველეს მკვიდრებს?

მეცნიერების მიერ ჩატარებული უახლესი კვლევების შედეგად ცნობილი ხდება, რომ თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანები პოპკორნს 1000 წლით ადრე იცნობდნენ, ვიდრე ეს აქამდე მიიჩნეოდა.

როგორც ირკვევა, პოპკორნის კვალს არქეოლოგებმა 6700-3000 წლის წინანდელ კერამიკულ ნაკეთობებზე მიაგნეს.

საინტერესოა სპეციალისტების კიდევ ერთი მოსაზრება. კერძოდ, ძველი პერუელები სიმინდს ნებისმიერი სახით მოიხმარდნენ: ხალავდნენ პოპკორნის (ალბათ, ბატიბუტიც ეყვარებოდათ) მისაღებად, ფქვავდნენ ფქვილის მისაღებად და მერე მთლად ღომს თუ არა, ცხელ-ცხელ ჭადებს მაინც მიირთმევდნენ ხოლმე.

არქეოლოგიური კვლევის ავტორები განმარტავენ, რომ სიმინდი პირველად 9 ათასი წლის წინათ მექსიკაში გააკულტურეს, სამხრეთ ამერიკაში კი ის რამდენიმე ათასწლეულის შემდეგ გამოჩნდა, სამეგრელოსა და იმერეთში კი ხომ საერთოდ!..

**globalscience.ru**

## ბავშვის სქესის დადგენა ფეხმძიმობის პირველივე თვეს მოხერხდება?



ჩვენ თუ გვკითხავს ვინმე, ვფიქრობთ, ბავშვის სქესის წინასწარ დადგენას არავითარი მნიშვნელობა, დატვირთვა და გნებავთ, ასე ვთქვათ – მუღამი არ აქვს, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში უსაზღვროდ ბედნიერი უნდა იყოს მშობელი. თუმცა რაკილა უსწრაფესი ტემპებით ვითარდება ლამის აბსოლუტურად ყველა სფერო, მიღწევები ამ მხრივაც არის – ორსული ქალები ამიერიდან ბავშვის სქესის დადგენას ფეხმძიმობის პირველივე თვეს ან სადღაც მეხუთე კვირაში შეძლებენ.

ასეთი შედეგის მიღება კორეელი მეცნიერების მიერ შექმნილი ტესტის დახმარებითაა შესაძლებელი.

როგორც ირკვევა, მათ დაადგინეს, რომ ორი ენზიმის განსხვავებული კოეფიციენტები, რომელთა მიღება ფეხმძიმე ქალის სისხლისგან შეიძლება, ბავშვის სქესს მშობლებს გაცილებით ადრე ამცნობს, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

**woman.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04

**3 ოქტომბერი:** რაღაც საკითხის გადაწყვეტას დიდი ხანია აჭიანურებთ, მაგრამ დრო აღარ იცდის. ყველაზე მარტივი „არა“-ს თქმაა, მაგრამ ასეთი მიდგომა ყოველთვის არ ამართლებს ხოლმე.

### კურო 22.04-21.05

**3 ოქტომბერი:** ნუ დაიწყებთ ცხოვრების აზრის ძებნას, შეიძლება ისეთი რამეები გაგახსენდეთ, რომ საქმის კეთების ხალისი დაკარგოთ. დატკბით ცხოვრებით.

### ტყუპები 22.05-21.06

**3 ოქტომბერი:** დღეს ოპტიმისტი იქნებით და თქვენს გარშემო ყველა ასეთ განწყობაზე დადგება. თუ დაშვებულ ზღვარს არ გადაკვეთთ, ეს დღე სასიამოვნოდ დაგამახსოვრდებათ.

### კირჩხიბი 22.06-22.07

**3 ოქტომბერი:** შეეცადეთ, დღეს ოჯახის წევრებთან საუბარს თავი არ აარიდოთ. არა მარტო ბევრ საინტერესო რამეს გაიგებთ, არამედ საოჯახო პრობლემების გადაწყვეტაშიც მიიღებთ მონაწილეობას.

### ლომი 23.07-22.08

**3 ოქტომბერი:** ეს დღე შეიძლება საოცრად ნაყოფიერი აღმოჩნდეს. მნიშვნელობა არ აქვს, რა სამოქმედო ტაქტიკას აირჩევთ, მოინდომეთ და წარმატებას მიაღწევთ.

### ქალწული 23.08-22.09

**3 ოქტომბერი:** როგორც ჩანს, იმდენი საქმე გექნებათ, გაგიჭირდებათ განსაზღვრა, საიდან დაიწყოთ. დაიწყეთ იმით, რასაც ნაკლები დრო და ენერგია სჭირდება.

### სასწორი 23.09-22.10

**3 ოქტომბერი:** წესით, არავითარი შემთხვევითობა არ უნდა მოხდეს. თუ რამე მოულოდნელობად მოგეჩვენათ, ე.ი. ამ მოვლენის წინაპირობებს ყურადღება არ მიაქციეთ.

### ღრიანკალი 23.10-21.11

**3 ოქტომბერი:** მაქსიმალურად დაიცავით საყოველთაოდ დადგენილი წესები და გაუაზრებლად არაფერი გააკეთოთ. დღეს აკრძალულ ადგილას ქუჩის გადაკვეთაც კი არ ღირს.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**3 ოქტომბერი:** დღეს ვიღაცამ შეიძლება თქვენი მოტყუება სცადოს. მიმდინარე მოვლენებსა და სიტუაციებს ყურადღებით დააკვირდით და გაბითურების უფლება არავის მისცეთ.

### თხის რქა 22.12-19.01

**3 ოქტომბერი:** შეიძლება დღეს ამაღლებული ემოციები დაგჭირდეთ. ამაში არა მხოლოდ თქვენი საყვარელი მუსიკის მოსმენა დაგეხმარებათ, არამედ ახლობლებთან გულთბილი საუბარიც.

### მერწყული 20.01-18.02

**3 ოქტომბერი:** ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც შეიძლება დღეს დაუშვათ, საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობა იქნება. იმოქმედეთ, ბევრ რამეს შეძლებთ.

### თევზები 19.02-20.03

**3 ოქტომბერი:** დღევანდელი დღით დილიდან საღამომდე დატკბებით. განსაკუთრებით სასიამოვნო საღამო უნდა იყოს, რომელიც, სასურველია, მარტო არ გაატაროთ.

## სარკეში დიდხანს ყურებას ადამიანის... გაგიჟება შეუძლია



ბოლო პერიოდში მეცნიერები სულ უფრო ხშირად აქარწყლებენ ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებებს ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. ამ შემთხვევაში სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა... სარკემ. დიახ, სწორედ სარკემ, თანაც სრულიად ჩვეულებრივმა და ერთი შეხედვით, ყოვლად უწყინარმა.

მეცნიერების აზრით, ის ადამიანები, რომლებიც სარკის წინ დიდ დროს ატარებენ, რისკავენ მნიშვნელოვნად დაიზიანონ ფსიქიკური მდგომარეობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვეულებრივი ექსპერიმენტი ჩატარდა – სპეციალისტებმა რამდენიმე ასეული რესპონდენტი დაიქირავა, რომლებსაც დაევალათ, სარკეში საკუთარი თავისთვის შეუჩერებლად 10 წუთის მანძილზე ეცქირათ.

და იცით, რა შედეგი მიიღეს მეცნიერებმა? აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურად ყველა მოხალისე საშინელ მღელვარებასა და დეპრესიას განიცდიდა.

თავად მეცნიერებიც აღიარებენ, რომ ასეთ შედეგს ნამდვილად არ მოელოდნენ, რადგან ფიქრობდნენ, დისკომფორტი მხოლოდ იმ ადამიანებს უნდა გასჩენოდათ, რომლებიც საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილოები იყვნენ.

კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ მღელვარების შეგრძნება და დისკომფორტი აბსოლუტურად ყველა მოხალისეს უკვე 2-3 წუთის გასვლის შემდეგ უჩნდებოდა.

რთული სათქმელია, რას უნდა უკავშირდებოდეს ეს მოვლენა, თუმცა მეცნიერები მაინც გვაფრთხილებენ, რომ არ ღირს სარკეში ხშირად და მით უფრო, დიდხანს ყურება.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ სტატისტიკურად მშვენიერი სქესი სარკეში დღის მანძილზე დაახლოებით 38-ჯერ იყურება, მამაკაცების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი სულ რაღაც 18-ია. ამასთანავე, ქალების 80 პროცენტი საკუთარ თავში მიმზიდველობას, ფაქტობრივად, ვერ ხედავს და გარეგნობის გამო მამაკაცებზე გაცილებით მეტს ნერვიულობს.

**woman.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



პასუხგაუცემელი კითხვები:

– რატომ არის, რომ ლიმონათს ლიმონის ხელოვნური წვენით ამზადებენ, აი, სარეცხ საშუალებებს კი – ნატურალურისგან?

– რატომ ვაჭერთ თითს დისტანციური მართვის პულტზე უფრო ძლიერად, როცა ელემენტები დამჯდარია?

– რატომ სჭირდება გარეცხვა პირსახოცს, როცა მას დაბანილი ხელების გასაწმენდად ვიყენებთ?

– რატომ ამბობენ ყველაზე ხშირად უარს ქალები არცთუ გადასარევი გარეგნობით?

– რატომ ვრთავთ ავტომობილში რადიოს, როცა გზაზე ხილვადობა არ ვარგა? და როცა არაფერი ისმის, რატომ ვიხსნით მზის სათვალეებს?

– რას ითვლიან ცხვრები, როცა ვერ იძინებენ?

– რატომ არ უშვებენ კატების საკვებს ვირთხების გემოთი?

– რისთვის ხდება იმ ნემსების სტერილიზება, რომლებითაც პაციენტებს სასიკვდილო ინექციებს უკეთებენ?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
» 211359457
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემიკოსის, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.59